ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 16 ნოემბერი, 2020

№238 (8502)

ფასი: 60 თეთრი

## თემქაზე მიშო მელიქიშვილს ლევან შაბურიშვილის სახლში ყელი გამოსჭრეს

დაკავებული არიან ნიკა ნარიმანიძე და მისი მეგობარი ქალი



გვ.5

# „ოპოზიცია მერამდენედ უნდა აღმოჩნდეს „ოცნების“ დაგებულ მახეში?!“



გია ხუხაშვილი: „ხელისუფლება ფონს გასვლას ვირეშმაკობით ცდილობს“

გვ.2



## „სააკაშვილი უნდა გაემიჯნოს ქართულ პოლიტიკას, რადგან ის პროცესს აზიანებს“

გვ.3

გიორგი ვაშაძე: „ბოლო რამდენიმე თვეა, მასთან კონტაქტი აღარ მაქვს“





## ნიკა ჩიტაძე: „სალომე ზურაბიშვილი ვერ აცნობიერებს, რა განცხადებებს აკეთებს“

გვ.3

## „ოპოზიციამ სახე უნდა შეინარჩუნოს“

სოსო ცინცაძე: „სამარცხვინო მდგომარეობაში ვართ მთელი ქვეყანა, შუამავლების გარეშე ერთმანეთთან ლაპარაკი არ შეგვიძლია“

გვ.4





გვ.4

## გოგი წულაია: „სააკაშვილი თუ ჩამოდის, ჩამოვიდეს. ბილეთს მე ხომ არ ავულებ?!“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

2 ვახტანგ ძაბირაძე: „ხელისუფლებას რიგგარეშე არჩევნების ჩატარება მაინც მოუწევს“

6 აზერბაიჯანი რუსეთიდან ელჩის გაწვევის შესახებ ინფორმაციას უარყოფს

2 გიორგი ბარამიძე: „რას ჰქვია, მიხეილ სააკაშვილი არ უნდა ავიტანოთ?!“

6 სომხეთში უშიშროების ყოფილი შეფი არტურ ვანეციანი დააკავეს
მას ფაშინიანზე ტერაქტის მომზადებას აბრალებენ

# „ოპოზიცია მერამდენედ უნდა აღმოჩნდეს „ოცნების“ დაგებულ მახეში?!“

## გია ხუხაშვილი: „ხელისუფლება ფონს გასვლას ვირეშმაკობით ცდილობს“

იაგო ნაცვლიშვილი

**აქციები რუსთაველზე გრძელდება. ოპოზიცია ისევ უარს აცხადებს პარლამენტში შესვლაზე და ხელახალ არჩევნებს ითხოვს. ხელისუფლებაში კი ამტკიცებენ, რომ დარღვევებს შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია. ამ ჩატეხილი ხიდის მიუხედავად, საერთაშორისო ფასილიტატორების მედიაციით დიალოგი დაიწყო, თუმცა მხარეები პოზიციების არათუ შეჯერებამდე, არამედ მცირედით დაახლოებამდეც კი არ მისულან.**

**ამ ფონზე რჩება თუ არა დიალოგის სივრცე, კონსენსუსის რა ფორმულა არსებობს, არის თუ არა რეალურად ერთიანი ოპოზიცია და რამდენად საგნობრივია მათ შორის მწვავე დებატები მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.**



*— დაიწყო მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, მაგრამ ჩატეხილი ხიდი ისევ რჩება. ამ ფონზე რჩება თუ არა შანსი დიალოგისთვის?*

— მე ვფიქრობ, რომ პირდაპირი დიალოგის შანსი პრაქტიკულად არ არის. ამ სიხისტით, საბოლოო ჯამში, ორივე მხარე წაგებული დარჩება, სახელმწიფო ინტერესებიც დაზიანდება და ეს ჩვეულებრივი ამბავია საქართველოში, როდესაც ორი მონოლოგი ეტაკება ერთმანეთს, ვერანაირად ვერ გადადის დიალოგში. მხარეები ცდილობენ, შედეგი კუნთებით მიიღონ და არა — ცივი გონებითა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. რაც ყველაზე მთავარია, კუნთებს ხშირად შედეგი არ მოაქვს. ერთადერთი შანსი რჩება და ეს არის უცხოელების ზეწოლა. ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ზეწოლით შესაძლოა რაღაცა ფორმულის მიღება.

*— ზეწოლა ვისზე, ხელისუფლებაზე, ოპოზიციაზე თუ ორივეზე?*

— ორივეზე. ახლა არ არის ის სიტუაცია, რომ ერთი მხარე მართალია და მეორე — მტყუანი. ახლა არის სიტუაცია, როდესაც რეალური კონსენსუსი გვჭირდება და ის, რომ ორივე მხარემ რაღაცა უნდა დათმოს. სხვანაირად ვერანაირი მოლაპარაკება ვერ შედგება.

*— კალაძემ თქვა, რომ ოპოზიციას შესთავაზეს გადათვლები. თუ ეს მართალია, ოპოზიცია უნდა დათანხმებულიყო მას?*

— ეს უკვე არადამაჯერებელი და ძალიან დაგვიანებულია. გადათვლით შედეგის მიღება შესაძლებელი იყო მეორე და მესამე დღეს, როდესაც ხელისუფლება ამაზე კატეგორიულად წინააღმდეგ წავიდა. მეტსაც გეტყვით, კალაძის ამ განცხადების წინა დღეს ცესკომ შედეგები შეაჯამა, ანუ ასეთი კატათაგვობანას თამაშით უნდათ ფონს გასვლა, რაც ვირეშმაკობაა.

*— მაშინ, რა გამოსავალი რჩება?*

— მე მქონდა ჩემი ფორმულა. გამომდინარე იქიდან, რომ ოპოზიციამ ასწია თამასა და ახლა ცოტა გართულებულია, მე მქონდა ფორმულა — შეთავაზება, რაც გულისხმობდა იმას, რომ არჩევნები კი არ ეღიარებინათ, არამედ ოპოზიციას დროებით დე ფაქტო სიტუაცია მიეღო, შესულიყო პარლამენტში, საგამოძიებო კომისიის ინიცირება მომხდარიყო და შეესწავლათ ამ არჩევნების ყველა გარემოება, დაკითხავდნენ ყველას, თამარ ჟვანიადან დაწყებული. ამას ექნებოდა საჯარო სახე. ხელისუფლება კი უნდა დასთანხმებოდა იმას, რომ თუ გამოძიების შედეგად გამოვლინდებოდა იმ ხარისხის დარღვევა, რომელსაც შეეძლო, არსებითად შეეცვალა შედეგი, მაშინ ხელისუფლებაც წამოვიდოდა რიგგარეშე არჩევნებზე, არა ხელახალ, არამედ რიგგარეშე არჩევნებზე. ეს რამდენიმე ამოცანას გადაგვაწყვეტინებდა. კრიზისის ნეიტრალიზაცია კი არ მოხდებოდა, არამედ გადაინაცვლებდა საპარლამენტო კედლებში.

მეორე, საჯარო დისკუსიების ფორმაში ვნახავდით, რეალურად რასთან გვქონდა საქმე. გაყალბება რომ იყო, ამაში ორი აზრი არ არის, მაგრამ, რამდენად კრიტიკული იყო ეს გაყალბება და რამდენად შეიძლებოდა საბოლოო შედეგის შეცვლა? ამ კითხვაზე პასუხი ჯერ არ მიგვიღია. ამას ჩვენც ვნახავდით, უცხოელებიც და რაღაცის დოკუმენტური დადასტურება შეიქმნებოდა.

გარდა ამისა, მოხდებოდა სისხლის სამართლის საქმეების ინიცირება იმ კონკრეტულ დანაშაულებზე, რომლებიც უკვე ვნახეთ — ციფრების გადაკეთება, ოპოზიციური პარტიებიდან კომისიის წევრების ხელმოწერების გაყალბება და ა.შ. რაც მთავარია, საარჩევნო კოდექსის ადმინისტრაციის ნაწილში სერიოზული ცვლილებებია გასატარებელი და ამაზე ოპოზიცია სულ აპელირებს. პარალელურად შეიძლებოდა ამ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა. პარლამენტი თუ არ შეიკრიბება, მას ვინ მიიღებს?! ანუ ამ პროცესებს გავივლიდით, საგამოძიებოს დასკვნა დაიდებოდა და ბევრად უფრო მომზადებული იქნებოდა ეს ყველაფერი.

თუ ხელისუფლება დაიცავდა თავის პირობას, მოხდებოდა რიგგარეშე არჩევნების ინიცი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ვახტანგ ძაბირაძე: „ხელისუფლებას რიგგარეშე არჩევნების ჩატარება მაინც მოუწევს“

— ხელისუფლება ოპოზიციის მიერ შეთავაზებულ ვარიანტს, რომ ახლავე იქნას აღიარებული არჩევნების გაყალბებით ჩატარება, არ დასთანხმდება, გამოსავალი შეიძლება, იყოს პოლიტიკური შეთანხმება იმაზე, რომ ოპოზიცია შევა პარლამენტში, ცვლილებები შევა საარჩევნო კოდექსში და ერთი წლის ვადაში ჩატარდება რიგგარეშე არჩევნები.

ამის შესახებ პოლიტოლოგმა ვახტანგ ძაბირაძემ „ინტერპრესნიუსთან“ ხელისუფლებისა და ოპოზიციის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით განაცხადა.



ძაბირაძის განცხადებით, რთული სათქმელია, „ქართულ ოცნებაში“ აცნობიერებენ თუ არა, რომ ქვეყანა რიგგარეშე არჩევნების წინაშე მაინც დადგება, რადგან ობიექტურად არის მძიმე ვითარება და „ქართულ ოცნებას“ მომდევნო 4 წელი ხელისუფლების შენარჩუნება გაუჭირდება.

— პრობლემა მხოლოდ პარლამენტის ერთპარტიულობა კი არ არის, პრობლემა ის არის, რომ იქნება უამრავი პრობლემა, რომელსაც ხელისუფლება ვერ გადაჭრის. არ ვიცი, დღეს ამას რამდენად აცნობიერებს ხელისუფლება, მაგრამ ძალიან მალე დადგება ასეთი რეალობის წინაშე. წავა თუ არ წავა ხელისუფლება დათმობაზე, მას რიგგარეშე არჩევნების ჩატარება მაინც მოუწევს.

ამიტომ მხოლოდ ეს არის გამოსავალი, რომ ოპოზიცია შედის პარლამენტში და ხდება პოლიტიკური შეთანხმება, რომ მოხდება საარჩევნო კოდექსის შეცვლა და ერთი წლის ვადაში ჩატარდება რიგგარეშე არჩევნები. მაგრამ, თუ ოპოზიცია დარჩება ქუჩაში, არც ხელისუფლება გადადგამს ნაბიჯს, — განაცხადა ძაბირაძემ.

ამასთან, ძაბირაძე მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებების პროცესში უბნების გადათვლაზე უარი ოპოზიციის მხრიდან მისთვის არამომგებიანია.

— ოპოზიცია უნდა დასთანხმდეს გადათვლაზე და უნდა გააკეთოს შემხვედრი წინადადება, რომ შეადგინონ ჯგუფი არასამთავრობოებისა და პოლიტიკური წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც გადათვლის და ეს პროცესი იქნება ღია. ყველა უბნის გადათვლა რომ მოუწიოთ, უნდა გადათვალონ. ეს პოლიტიკურად მომგებიანია ოპოზიციისთვის, — განაცხადა ძაბირაძემ.

მისივე თქმით, წინა შემთხვევაში, როცა ხელისუფლებისა და ოპოზიციის მოლაპარაკებები პროპორციულთან მიახლოებული სისტემის მიღებით დასრულდა, სხვა ვითარება იყო, ახლა კი სახის შენარჩუნება არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ ოპოზიციასაც სჭირდება.

— ადრეც იყო საუბარი იმაზე, რომ ქუჩის აქციებმა აიძულა ხელისუფლება დათმობაზე წასულიყო, მაგრამ ეს არ არის მთლად სწორი შეფასება, ამაში საერთაშორისო პარტნიორების განმსაზღვრელი წვლილი იყო, მაშინ იმდენად ცუდ დღეში აღმოჩნდა ხელისუფლება, როცა დანაპირები უკან წაიღო და ეს იმდენად ცალსახა იყო, რომ არგუმენტი არ ჰქონდათ არა მხოლოდ მოსახლეობასთან, არამედ დასავლეთთან, დღეს სხვა ვითარებაა, იგივე დასავლეთმა ამ არჩევნების შედეგები აღიარა, ამიტომ დღეს დასავლეთის სხვა რამეში დარწმუნება მარტივი არ იქნება, ამიტომ ოპოზიციას გაუჭირდება.

თუ ოპოზიცია პერმანენტულ აქციებს დააანონსებს, უნდა გაითვალისწინოს, რომ ზამთარი მოდის, მძიმე პერიოდია და არ იქნება პროტესტის ის მუხტი, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ ხელისუფლება დათმობაზე წამოიყვანო. ამიტომ ოპოზიციამ უნდა ეძებოს გამოსავალი და ისეთი გამოსავალი, რომ დღეს თუ არა, ხვალ რომ რიგგარეშე არჩევნები იქნება, სახე ჰქონდეს შენარჩუნებული, დღეს მხოლოდ ხელისუფლებას არ სჭირდება სახის შენარჩუნება დასავლელ პარტნიორებთან, ეს სჭირდება ოპოზიციასაც იმისთვის, რომ სიტუაცია მისთვის იყოს მომგებიანი, — განაცხადა ძაბირაძემ.

# მაიკ პომპეოს ვიზიტის დღეს ოპოზიცია მდუმარე აქციას გამართავს



18 ნოემბერს ოპერის შენობიდან მელიქიშვილის გამზირის მიმართულებით 2-მეტრიანი დისტანციის დაცვით ოპოზიცია მდუმარე აქციას გამართავს.

აღნიშნულის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ ჟურნალისტებთან „ლელოს“ ოფისში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

— 18 ნოემბერს, დილის 11:00 საათზე, ოპერის შენობიდან რესპუბლიკის მოედნის, რუსთაველის მეტროს, ფილარმონიისა და მელიქიშვილის მიმართულებით გაიმართება აქცია. 2–მეტრიანი დისტანცია იქნება დაცული და ყოველ ადამიანს, ვინც მოვა, მდუმარე პროტესტისთვის სტიკერი მიეცემა, რომელსაც ეწერება: „გაყალბებულია“.

სტიკერს დააფენს, დადგება, დაიჭერს შესაბამის პლაკატს, ასევე იქნება საქართველოსა და ამერიკის დროშები. რესპუბლიკის მოედანზე იქნება დიდი ბანერები საქართველოსა და ამერიკის დროშით და შუაში იქნება წარწერები, რომ არჩევნები გაყალბებულია, რომ მიმდინარეობს სახელმწიფოს მიტაცება რუსი ოლიგარქის მიერ, — განაცხადა უგულავამ.

უგულავამ მოუწოდა მოსახლეობას, გავიდნენ აქციაზე.

— ვფიქრობთ, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი შეიძლება ვერ თანხმდებოდეს ძალიან ბევრ საკითხზე — მემარჯვენეობაზე, მემარცხენეობაზე და ა.შ. მაგრამ უდიდესი ნაწილი ვთანხმდებით იმაზე, რომ არჩევნები არის გაყალბებული. ამიტომ ყველა ადამიანს მინდა მოვუწოდო, ვინც თვლის, რომ არჩევნები არის გაყალბებული, სულ ერთია, მოსწონს ვიღაც პოლიტიკოსი თუ არა, პარტია მოსწონს თუ არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს, ვინც თვლით, რომ გაყალბდა, გამოდით და მდუმარედ დააფიქსირეთ პოზიცია, დააფიქსირეთ საერთაშორისო მედიის წინაშე და ჩვენი სტუმრის წინაშე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილი იქნება საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომ ჩვენ ვართ დემოკრატიული, კანონმორჩილი საზოგადოება, გვინდა თავისუფალი არჩევნები, მაგრამ გვყავს ხელისუფლება, რომელიც, უბრალოდ, იპარავს არჩევნებს, — განაცხადა უგულავამ.

# გიორგი ბარამიძე: „რას ჰქვია, მიხეილ სააკაშვილი არ უნდა ავიტანოთ?!“

— რას ჰქვია მიხეილ სააკაშვილი არ უნდა ავიტანოთ და რას ჰქვია, ვიღაცას მიხეილ სააკაშვილი არ უნდა?!



ეს განცხადება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ბარამიძემ აჭარის მთავრობის სახლთან ოპოზიციისა და მათი მხარდამჭერების მიერ ორგანიზებულ აქციაზე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

— 2012 წელს, როდესაც ქართველმა ხალხმა გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, რაზეც შეიძლება, უკმაყოფილო ყოფილიყო, მაგრამ შეთითხნილი, კრემლში დადგმული პიარსპეცოპერაციის გამო, რომლითაც გადარიეს ხალხი, ცოცხები და რა არ მოიგონეს ჩვენს ხელისუფლებაზე, პრეზიდენტ სააკაშვილზე, ბოლოს კი 10 თვის ბავშვის სიკვდილიც წინა ღამით გამოიყენეს, მე არ მინდა, მათსავით დავეცე და ვთქვა, ფაქტია, ბავშვი ვიღაცამ მოკლა, ეს ხელისუფლებაში მოსასვლელად კარგად გამოიყენეს. ეგზიტპოლი რამდენიმე წუთის გამოცხადებული იყო და პრეზიდენტმა სააკაშვილმა მიიღო ქართველი ხალხის ვერდიქტი და ბიძინა ივანიშვილო, შენ ვინ მიგდიხარ, რომ არ მიიღო ეს ვერდიქტი.

მიხეილ სააკაშვილს კოჭებამდეც ვერ მისწვდები. ძალიან მიხარია, აქ ვხედავ ჩვენს კოლეგებს და კონკურენტებს, იმ პარტიებსა და ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა აზრზე ვართ, დღეს ყველანი ერთად ვართ.

მე პირდაპირ გეტყვით, რას ჰქვია ხალხო, ჩვენ თუ აქ ერთმანეთს პატივს ვცემთ, ვამბობთ, რომ ყველამ ერთმანეთი ავიტანოთ, ასატანი რა გვჭირს? ყველამ ერთმანეთს გვერდში დავუდგეთ და გვიყვარდეს.

ყველანი ამ ქვეყნის შვილები ვართ, განურჩევლად ეთნიკურობისა. ყველა თუ უნდა ავიტანოთ, რას ჰქვია, მიხეილ სააკაშვილი არ უნდა ავიტანოთ და რას ჰქვია, ვიღაცას მიხეილ სააკაშვილი არ უნდა?! მიხეილ სააკაშვილის მომხრე და მხარდამჭერი ხალხი გვინდა და საქართველოს მესამე პრეზიდენტი და ამ არჩევნების მთავარი გამარჯვებული მიხეილ სააკაშვილი არ გინდა?

ასე არ გამოვა, მეგობრებო! მასე არ გამოვა, ბიძინა, ეგ ამბავი. მიშაც უნდა ჩამოვიდეს, ყველა დევნილი უნდა ჩამოვიდეს და ყველა პოლიტპატიმარი უნდა გათავისუფლდეს, ყველამ უნდა მიიღოს ამ ყველაფერში მონაწილეობა. მართალია, შორს არის, მაგრამ მასთან ურთიერთობის საშუალება გვაქვს. მიშას პატივისცემა თითოეული თქვენგანის პატივისცემაა და არავის არაფერი შეეშალოს, — განაცხადა ბარამიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილი უნდა გაემიჯნოს ქართულ პოლიტიკას, რადგან ის პროცესს აზიანებს“

## გიორგი ვაშაძე: „ბოლო რამდენიმე თვეა, მასთან კონტაქტი აღარ მაქვს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ გიორგი ვაშაძე პასუხობს.**

***– ბატონო გიორგი, არჩევნების მეორე ტური დაინიშნა 21 ნოემბერს. რას აპირებს ოპოზიცია? თქვენ ხელახალ არჩევნებს ითხოვთ, ხელისუფლება კი მეორე ტურს ატარებს.***

– მეორე ტურის დანიშვნა-არდანიშვნა ზუსტადაც რომ ხელახალ არჩევნებს არ უშლის ხელს. აქ არ არის გადამწყვეტი, რა სამართლებრივი პროცედურით წავალთ. მთავარია, რომ ეს არჩევნები ახლიდან ჩატარდეს.

***– თუ არ წამოვიდა ამაზე ხელისუფლება?***

– თუ არანაირი შეთანხმება არ მოხდა, მაშინ მარტო დარჩებიან პარლამენტში.

***– აქციაზე მასობრივად გამოჩნდა პლაკატები მოთხოვნით: „მიშა, ჩამოდი!“ ამან აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რას იტყვით?***

– მე ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ იმ ადამიანს თუ უნდა ჩამოსვლა, ჩამოვიდეს. მოსაწვევს ხომ ვერ გავუგზავნით ოპოზიცია?! ამიტომ ამით მანიპულაცია, რომ ჩამოვა თუ არ ჩამოვა, აბსოლუტურად უადგილოა ამ ვითარებაში.

***– რამდენად შესაძლებელია ამ ხელისუფლების პირობებში მისი ჩამოსვლა?***

– ჩამოსვლას რა უდგას წინ? დაჯდები თვითმფრინავზე და ჩამოხვალ, თუკი მართლა ჩამომსვლელი ხარ.

***– მისი დაკავების საფრთხეა.***

– უკაცრავად, ბოდიში, მაგრამ საფრთხე ყოველთვის არის. თუ ჩამოსვლა გინდა, ჩამოხვალ, თუ არ გინდა, მაშინ გაჩუმდი და ნუ ჩამოხვალ.

***– რამდენად მართავს მიშა სააკაშვილი იქიდან ოპოზიციურ სპექტრს და რამდენად მოქმედებს ოპოზიცია მისი დღის წესრიგით?***

– საერთოდ არანაირი კონტაქტი არ მაქვს ბოლო რამდენიმე თვეა და არც ვაპირებ კონტაქტის ქონას მიხეილ სააკაშვილთან. მე გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილის დღის წესრიგით მოქმედებდეს ოპოზიცია. საერთოდ, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკას მნიშვნელოვანწილად უნდა გაემიჯნოს. ის მეორე თავისტკივილია ოპოზიციისთვის.

***– აზიანებს პროცესს?***

– რა თქმა უნდა! აბა, არ აზიანებს ახლა?! მე ვფიქრობ, რომ გაცილებით მეტი იქნებოდა მუხტი, გამარჯვების მეტი შანსიც იქნებოდა, რომ არა მისი ასეთი აგრესიული ჩართულობა.

***– ხელისუფლებასაც ხომ არ აწყობს ეს კომპონენტი?***

– რა თქმა უნდა, აწყობს და მუდმივად ერთსა და იმავეს იყენებს. ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, მიშას პასიურობის პირობებში, 38% ავიღეთ გრიგოლ ვაშაძესთან ერთად. უპრეცედენტო შედეგი იყო. 100 ათასი ხმით მეტი, ვიდრე ახლა, მიშას აქტიურობის პირობებში, იმავე გაერთიანებულმა ოპოზიციამ აიღო.

***– ანუ მიშამ დაგაზარალათ?***

– რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, ის აზიანებს ოპოზიციის მხარეს პროცესს. დიახ, მას ჰყავს მხარდამჭერები, მაგრამ ის ააქტიურებს მხარდამჭერებს „ქართული ოცნების“ მხარეს, რაც არის მთავარი პრობლემა და დილემა ამ ქვეყანაში. ამიტომ დროა, თვითონაც ჩამოყალიბდეს. თუ ჩამოსვლას აპირებს, ჩამოვიდეს, თუ არადა დაანებოს ამ საუბარს თავი, მიხედოს სხვა საქმეს და ჩვენ დაგვაცადოს აქ ხელისუფლების ცვლილება.

***– გრიგოლ ვაშაძის პოზიციამაც საკმაოდ სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. თქვენ რას იტყვით მის განცხადებებზე?***

– ყველას აქვს თავისი მოსაზრება და საკუთარი ხედვა. ყველა ერთ ხმაში ვერ ილაპარაკებს აბსოლუტურად ყველა საკითხსა და პროცესზე. ეს ყველას უნდა გვესმოდეს.

***– თუმცა, მოლაპარაკებას რომ ალტერნატივა არა აქვს, ესეც ხომ ცხადია?***

– ესეც ცხადია, რა თქმა უნდა. მისი განცხადებაც ამაზე იყო აქცენტირებული. მე შეიძლება რაღაც კომპონენტებში არ ვეთანხმებოდე, მაგრამ ეს მისი მოსაზრებაა და ჩვენ ყველას მოსაზრებას პატივი უნდა ვცეთ.

***– შემდეგი აქცია როდის გაიმართება?***

– 17 ნოემბერს გაიმართება, თუმცა ეს აქცია არ არის, სიმბოლური ღონისძიებაა პომპეოს ვიზიტის პარალელურად და შემდეგი აქცია რასაც ჰქვია, იქნება 21-ში, მეორე ტურის გამართვის პერიოდში.

***– პომპეოს ვიზიტისგან თუ ელით რაიმე შედეგს?***

– პომპეოს ვიზიტის მთავარი შინაარსი არის ის, რომ გეოპოლიტიკურად ბევრი რამე შეიცვალა საქართველოს გარშემო, ყარაბაღიდან გამომდინარე. სიმართლე გითხრათ, დიდი შანსია, დაჩქარდეს საქართველოს ინტეგრაცია ნატოში.

ეს შანსი ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს და სტრატეგიული პარტნიორობა უფრო გააღრმავოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამას გამოიყენებს თუ არა ხელისუფლება ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ, ეს მეორე საკითხია. მე გეუბნებით, რომ დღეს ყველა შესაძლებლობაა, დაჩქარებული პროცესები დაიწყოს ჩვენი ინტეგრაციისა ევროკავშირშიც და ნატოშიც რუსეთ-თურქეთის ამ მოძრაობის შემდეგ, პროცესის დაჩქარება კი დამოკიდებულია ქართულ მხარესა და მის კეთილგონიერებაზე.



# ნიკა ჩიტაძე: „სალომე ზურაბიშვილი ვერ აცნობიერებს, რა განცხადებებს აკეთებს“

## „ჩვენი პრეზიდენტის განცხადებას სომხეთში უარყოფითად შეხვდნენ. ეს ვითარება დადებითად ვერც ჩვენს უსაფრთხოებაზე აისახება“

იაგო ნაცვლიშვილი

**სტადიონზე მხოლოდ რამდენიმე ჩინოვნიკის მოხვედრა ნიშნავს თუ არა შერჩევით რეგულაციებს? ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაწყებული მოლაპარაკებები ნიშნავს თუ არა ყინულის გალღობას, რაზე მიანიშნებს ყარაბაღთან დაკავშირებით პრეზიდენტის განცხადება და ხომ არ დააზარალებს ქართულ-სომხურ ურთიერთობებს ან კიდევ ხომ არ დაძაბავს რეგიონში ვითარებას? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.**

***– ვნახეთ, რომ მთავრობის რეგულაციებით ისტორიული მატჩის დროს აკრძალული იყო სტადიონზე გულშემატკივრის დასწრება, მაგრამ ვნახეთ სტადიონზე კალაძე შვილთან ერთად და კობახიძეც. გააკეთა კალაძემ განმარტება და ბოდიშიც მოიხადა, თუმცა ბევრი კითხვა დარჩა – ჩინოვნიკებისთვის შეიძლება და ხალხისთვის – არა?***

– რა თქმა უნდა, სხვადასხვა პრობლემასთან არის დაკავშირებული. პირველია ის, რომ უთანასწორო მდგომარეობაში არიან რიგითი გულშემატკივრები და თანამდებობის პირები. თანამდებობის პირები იმყოფებოდნენ ლოჟაში, გულშემატკივრები კი მატჩს არ დაასწრეს. ამ დროს შესაძლებელი იყო, რომ ამ მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გულშემატკივრისთვის დაერთოთ ნება, დასწრებოდნენ მატჩს, მაგალითად, პირბადეებითა და დისტანციის დაცვით. ვიცით, რომ რუსეთში საფეხბურთო მატჩებზე გულშემატკივრებს უშვებენ. შესაძლებელი იყო, ხალხი ჩვენთანაც დაგვესწრო ამ უმნიშვნელოვანეს მატჩზე და, შესაძლოა, არც კი წაგვეგო, იმიტომ, რომ მაყურებელი მე-12 მოთამაშეა, შესაძლოა, პირველიც კი.

ამიტომაც აქ გამოვლინდა რამდენიმე სამწუხარო ფაქტი. პირველი იყო ის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ მატჩს და მათთვის შესაძლებელია დასწრება, სხვებისთვის კი – არა. მეორე პრობლემა ის იყო, რომ ხელისუფლებამ არ დაუშვა გულშემატკივრები, შესაბამისად, დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, ესეც იყო, მით უმეტეს, რომ არჩევნები ჩატარდა და ადგილი ჰქონდა ხალხის შეკრებას სხვადასხვა უბანზე.

***– არჩევნებს რომ თავი დავანებოთ, ვნახეთ, რომ მაინც შეიკრიბნენ ადამიანები სტადიონთან.***

– კი, ესეც იყო. მესამე პრობლემაა ის, რომ როგორც ვიცი, გულშემატკივართა გარკვეული ნაწილი დააჯარიმეს კიდეც. რეგულაციების დარღვევის გამო მოხდა ეს, ვინაიდან მატჩი დაიწყო 21:00 საათზე და დამთავრდა 23:00-ზე.

***– ასეთი ხუმრობაც გაჩნდა, პრეზიდენტმა მაკედონიას გამარჯვება არ მიულოცოსო, ვინაიდან სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტზე მისი ტვიტი გახდა განხილვის საგანი. ვერ აცნობიერებს ქვეყნის მთავარსარდალი, რა პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს მისმა განცხადებებმა რეგიონში?***



– ჩემი აზრით, ვერ აცნობიერებს. სამწუხაროდ, ბევრი სასიხარულო ამ ფაქტიდან საქართველოს არ აქვს, სხვათა შორის – არც აზერბაიჯანსა და სომხეთს. აზერბაიჯანს სიხარულის გარკვეული საფუძველი გააჩნია, თუმცა, მეორე მხრივ, შეშფოთების საფუძველია ის, რომ აზერბაიჯანს რუსეთმა არ დაამყარებინა კონტროლი მთიან ყარაბაღზე, ვინაიდან მთიანი ყარაბაღის ნაწილზე სომხეთი ინარჩუნებს გარკვეულ კონტროლს.

რაც შეეხება სომხეთს, მას მით უმეტეს არ ეზეიმება, ვინაიდან ის ამ ომში დამარცხებულად და რუსეთზე კიდევ უფრო დამოკიდებულად ითვლება, იმიტომ, რომ რუსეთი ყოველთვის დააყვედრის სომხეთს, რომ გადაარჩინა სრულ კაპიტულაციას, დამარცხებას და რუსეთის მეშვეობით შეინარჩუნა სომხეთმა გარკვეული კონტროლი ყარაბაღის ნაწილზე. აზერბაიჯანიც ყოველთვის რუსეთის ვალში იქნება. საქართველოს რაც შეეხება, მით უმეტეს ჩვენ არაფერი გვაქვს საზეიმო, იმიტომ რომ, შეიძლება ითქვას, რუსეთმა განიმტკიცა პოზიციები კავკასიის რეგიონში.

***– პრეზიდენტის ეს განცხადებები შეუქმნის თუ არა საქართველოს პრობლემებს სომხეთთან?***

– შესაძლებელია, შეუქმნას გარკვეული პრობლემები, თუმცა, არა მგონია, რომ დიდმა პრობლემებმა იჩინოს თავი სომხეთ-საქართველოს ურთიერთობებში, ვინაიდან, საომარი მოქმედებების შეწყვეტის მიუხედავად, სომხეთი ჯერ კიდევ იზოლაციაში იმყოფება აზერბაიჯანისა და თურქეთისგან. აქედან გამომდინარე, სომხეთი სავაჭრო ოპერაციების 70%-ზე მეტს საქართველოს ტერიტორიის გავლით ახორციელებს. ამიტომაც ის არ არის დაინტერესებული საქართველოსთან ურთიერთობის გაუარესებით. არა მგონია, ვითარების დაძაბვას ეცადოს, მიუხედავად იმისა, რომ, რა თქმა უნდა, სომხეთში სალომე ზურაბიშვილის განცხადებას ბევრი დადებითად არ აღიქვამს.

კონფლიქტსა და რუსეთის როლზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ საერთო ჯამში მისალოცი არავის აქვს და საქართველო არ მიესალმება იმ ვითარებას, რომელიც სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა და დამატებით 1960 რუსი სამხედრო იქნება.

***– პრეზიდენტის განცხადებას გამართლება ვერ მოეძებნება? ხომ არ უნდა გავიგოთ ეს იმგვარად, რომ მან მიულოცა ომის შეწყვეტა და ის, რომ ადამიანები აღარ იხოცებიან?***

– კი, თითქოს მაგაზე უნდოდა ყურადღების გამახვილება, რომ საომარი მოქმედებები შეწყდა და აზერბაიჯანმაც და სომხეთმაც თავიდან აიცილეს დამატებითი მსხვერპლი. კარგია, რომ ომი შეწყდა და დამატებითი მსხვერპლი თავიდან იქნა აცილებული, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩამოყალიბდა ისეთი სახის მშვიდობა, რომელიც სამხრეთ კავკასიისა და მათ შორის საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე დადებითად ვერ აისახება. როგორც ბრეხტმა განაცხადა თავის პიესაში, ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთო. ასეა ამ ვითარებაშიც.

***– ამიტომაც ხომ არ არის დასავლეთი მოწადინებული, რომ საქართველოში იყოს სტაბილურობა და ჩაერთო უკვე მოლაპარაკებებში ხელისუფლება-ოპოზიციას შორის? აქვე გკითხავთ, ეს ნიშნავს, რომ ყინულმა ლღობა დაიწყო?***

– ყინულმა ლღობა დაიწყო, მაგრამ უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდოთ საბოლოო კონსენსუსის მიღწევას, რადგანაც ჯერჯერობით ოპოზიციისა და ხელისუფლების პოზიციები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. ხელისუფლებას უჭირს აღიარება, რომ არჩევნები გაყალბდა და „ოცნებას“ ცესკოს მხრიდან დაეწერა იმაზე მეტი ხმა, ვიდრე რეალურად მიიღო. მეორე მხრივ, ოპოზიციასაც მოჭრილი აქვს გზა. მას გაუჭირდება კომპრომისზე წასვლა და თანხმობა იმაზე, რომ ოპოზიცია შევა პარლამენტში, ვინაიდან ოპოზიცია ანგარიშვალდებულია საკუთარი ამომრჩევლის წინაშე, ამიტომაც ამ პრობლემის მოგვარება რთულია.

რა თქმა უნდა, დასავლელი პარტნიორები იმუშავებენ, რომ კონფლიქტი როგორმე მოგვარდეს. ამ ეტაპზე ძალზე რთულია კონფლიქტის მოგვარება და ძნელია წარმოდგენა, რა დათმობაზე შეიძლება წავიდნენ ხელისუფლება და ოპოზიცია.

***– დასავლეთის პოზიციით ხომ არ უნდა ავხსნათ გრიგოლ ვაშაძის განცხადებები, რამაც ბევრი კითხვის ნიშანი თავად ოპოზიციაში გააჩინა?***

– მესმის ბატონი გრიგოლის, იმიტომ, რომ საქართველო საფრთხის წინაშე იმყოფება. ჩვენ განვიხილეთ საკითხი, რომელიც ყარაბაღის კონფლიქტსა და რუსეთის დამატებითი საჯარისო კონტინგენტის განთავსებას უკავშირდება სამხრეთ კავკასიის რეგიონში და, აქედან გამომდინარე, როგორც ხელისუფლებამ, ასევე ოპოზიციამ უნდა გაითავისოს ის საფრთხე, რომლის წინაშეც დღეს საქართველო იმყოფება, ამიტომაც შიდადაძაბულობა ჩვენ არანაირად არ გვარგებს და საჭიროა ერის კონსოლიდაცია. ეს არ უკავშირდება მხოლოდ ხელისუფლებასა და ოპოზიციას. მთლიანობაში საუბარია საზოგადოებაზე, თუმცა ამის მიღწევა კიდევ უფრო მეტად რთულია, რადგანაც საზოგადოებაში ძალზე მნიშვნელოვანი პოლარიზება აღინიშნება.

## გია ვოლსკი: „სტუმრის ასე დახვედრა სამარცხვინოა“

საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი გიორგი ვოლსკი სამარცხვინოს უწოდებს ოპოზიციის მიერ დაგეგმილ საპროტესტო აქციას, რომლითაც ხელისუფლების ოპონენტები ამერიკის სახელმწიფო მდივნისთვის არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას გეგმავენ.

– ნებისმიერი აქტივობა, რომელიც უკავშირდება, მით უმეტეს, მაღალი რანგის სტუმრის დახვედრას, ასე სამარცხვინოდ, როგორც ჩვენი ოპოზიცია გეგმავს, რასაკვირველია, მიანიშნებს იმაზე, რომ აქ არ არსებობს რაიმე კონსტრუქციული პოზიციის პერსპექტივა, – განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

მმართველი გუნდის წევრი მიიჩნევს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციას უკვე წარუდგინა კომპრომისული ნაბიჯები, თუმცა გარკვეული ჯგუფები მაინც ცდილობენ, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ და მათ დესტაბილიზაციის გარდა სხვა გეგმა არ გააჩნიათ:

– „ქართულ ოცნებას“ არავითარი უფლება არ აქვს, კომპრომისი დაუშვას საკუთარი და თუნდაც ოპონენტების ამომრჩევლების ხარჯზე. შეიძლება, დღეს ვინმეს არ ესმის, მაგრამ გარკვეული ჯგუფი, გარკვეული ლიდერები, რომლებიც ცდილობენ, ხალხი შეიყვანონ შეცდომაში, ესწრაფვიან მხოლოდ დესტაბილიზაციას. არავითარი სხვა გეგმა მათ არ გააჩნიათ.

იმ პირობებში, როდესაც უბნების უმეტესი რაოდენობის გადათვლას სთავაზობს „ქართული ოცნება“, მათ შორის ყველა უბანზე ვიდეოთვალის მასალების გაანალიზებას, რასაკვირველია, ეს შესაბამისი დასკვნების საფუძველს იძლევა და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დღეს ჩართული არიან ამ აქტივობებში, საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ სიღრმისეულად შეაფასონ, ვის მიჰყვებიან, – აღნიშნა გია ვოლსკიმ.

# გოგი წულაია: „სააკაშვილი თუ ჩამოდის, ჩამოვიდეს. ბილეთს მე ხომ არ ავუღებ?!“

## „საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა დაინიშნოს ხელახალი არჩევნები“

მარიამ მჭედლიშვილი

**31 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს, „ქართული ოცნების“ გარდა, არავინ აღიარებს. ოპოზიცია აგრძელებს პროტესტის გამოხატვას ამ საკითხზე. ამ თემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარე გოგი წულაიას.**



„თუ ახალი პარლამენტი მაინც შეიკრიბა, რამდენიმე თვის შემდეგ დაიშლება და შემდეგი არჩევნების ჩატარება უარეს ფონზე მოგვიწევს“

***– შემდეგი აქცია ოპოზიციამ, რომელიც აპროტესტებს 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტის დროს დააანონსა. დაგეგმილია მდუმარე აქცია საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მისაქცევად. ეს ეფექტური იქნება?***

– ეს იქნება იმ აქციებზე ბევრად ეფექტური, რომლებიც აქამდე გამართულა. თუ მსოფლიოში სადმე სერიოზული გამოცემა და ტელევიზია არსებობს, პომპეოს საქართველოში ვიზიტს ყველა გააშუქებს. გადაიცემა ინფორმაცია იმაზეც, რომ „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა გააყალბეს არჩევნები. ეს გამოიღებს თავის შედეგს.

***– ბევრი ამბობს, რომ ოპოზიციის ერთიანობა ამ საკითხში უპრეცედენტოა. თქვენ რას იტყვით?***

– ბიძინას მიმართ ანტიპათიამ წარმოშვა ოპოზიციის ერთიანობა. ამ კაცმა ისეთი უბედურება დაატრიალა, მერამდენედ ისე გადაგვაგდო, რომ შეუთავსებელი შეათავსა. ისიც სათქმელია, რომ ეს ერთობა დროებითი და მყიფეა.

***– ერთმანეთისგან განსხვავებულ პარტიებს გულისხმობთ?***

– რასაკვირველია. გადამტერებული ხალხი დროებით ერთად დადგა. ჩემსა და ჩემი თანამოაზრეების მაგალითს მოვიყვან. ცუდ სიმზარშიც არ დაგვესიზმრებოდა, რომ ნაცმოძრაობის გვერდით ვიდგებოდით და ერთი მოთხოვნა გვექნებოდა. ეს მოახერხა ივანიშვილმა და მას თავისი მიქარვა ცუდად მოუბრუნდება – რაც დათესა, იმას მოიმკის.

***– ევროკავშირი, ზოგადად დასავლეთი ლეგიტიმურად არ ცნობს ბელარუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს. ჩვენს შემთხვევაში რა კონკრეტულ რეაქციას ელით უცხოეთიდან?***

– აქ დროის მომენტია. ჯერ არ არის საკმარისი ინფორმაცია საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე. გარდა ამისა, ფეთქებადსაშიშ კავკასიაში ვცხოვრობთ. სამეზობლოში ურთულესი მდგომარეობაა. ამის გამო დასავლელი პარტნიორები ფრთხილობენ. მათ არ უნდათ, რომ საქართველოში საშიში სიტუაცია შეიქმნას. ჩვენი უცხოელი მოკავშირეები დიალოგში მონაწილეობენ. ალბათ, იმას, რასაც 31 ოქტომბრის არჩევნებზე ხმამაღლა არ აცხადებენ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს დახურულ კარს მიღმა ეუბნებიან. ისინი ხშირად უფრო ზრუნავენ საქართველოზე, ვიდრე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები და ზოგიერთი ოპოზიციონერი.

***– სააკაშვილის გამო ერთად მდგარ ოპოზიციაში დიდი უთანხმოებაა. ისევ ლაპარაკია მის ჩამოსვლა-ჩამოუსვლელობაზე.***

– ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი გარკვეული ფაქტორია, სააკაშვილის ჩამოსვლა კი დაუსრულებელი საკითხი გახდა. თუ ჩამოდის, ჩამოვიდეს! მე ხომ არ ავიღებ თვითმფრინავის ბილეთს და მე ხომ არ დავხვდები ტრაპთან! ჩამოვიდეს და იყოს ნაციონალური მოძრაობის ლიდერი, ხოლო თუ ხალხს მისი მმართველობაც უნდა, მაშინ ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს. არა მგონია, უმრავლესობას მისი ხელისუფლებაში ყოფნა ენატრებოდეს. მისი ერთპიროვნული ძალაუფლება ნანახი გვაქვს. პირადად მე არც სააკაშვილის ავტორიტარიზმი მინდა და არც სხვა ვინმესი. ერთპიროვნული მმართველობა რომ არ გვინდა, ამიტომ მივილტვით მრავალპარტიულობისა და კოალიციური მმართველობისაკენ. სააკაშვილის აქტიურობა „ქართული ოცნების“ ბრალია. ამბობენ, დამნაშავე და ძებნილიაო. არადა, 8 წელიწადი გავიდა, სერიოზული ბრალდება ვერ წაუყენეს. უსუსური ხელისუფლება სააკაშვილს პიჯაკებსა და გვირგვინებზე ედავება.

***– ხელახალი არჩევნები გასაგებია, მაგრამ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მოთხოვნაც გაისმის. ამას ხომ დრო უნდა?***

– გეთანხმებით. მარტო ცესკოს თავმჯდომარის შეცვლა არ კმარა. გასაუმჯობესებელია საარჩევნო გარემო. იდეალურ გარემოს, ალბათ, ვერ შექმნიან, მაგრამ სრულყოფა შესაძლებელია. ამისათვის საჭიროა ასეთი რამ – უნდა შეიკრიბოს ის პარლამენტი, რომელსაც უფლებამოსილება ჯერ არ გასვლია. მას უნდა გაუგრძელდეს ვადა, დაემატოს სამუშაოდ სამი ან ოთხი თვე. პარლამენტმა უნდა შეცვალოს საარჩევნო კანონმდებლობა, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ უნდა დაინიშნოს არჩევნები. 31 ოქტომბერს ვითომ არჩეული არალეგიტიმური პარლამენტი რომც შეიკრიბოს, მალევე დაიშლება. შეიძლება იმუშაოს 6, 7 ან 8 თვე. მერე მაინც რიგგარეშე არჩევნები იქნება დასანიშნი. პოლიტიკური, ეკონომიკური, პანდემიური, სოციალური კრიზისის გაღრმავების პირობებში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა გვექნება. ღრმა კრიზისში გამართული არჩევნების შედეგად უარესი პარლამენტი მოვა. ამიტომ, ჯობია, შეიცვალოს საარჩევნო გარემო და დროზე გაიმართოს ხელახალი არჩევნები. „ოცნებამ“ თავის ღორმუცელობას არ უნდა გადაგვაყოლოს, თორემ, უარესს მიიღებს.

# „ოპოზიციამ სახე უნდა შეინარჩუნოს“

## სოსო ცინცაძე: „სამარცხვინო მდგომარეობაში ვართ მთელი ქვეყანა, შუამავლების გარეშე ერთმანეთთან ლაპარაკი არ შეგვიძლია“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს? რამდენად ელით, რომ მოლაპარაკებები კომპრომისით დასრულდება?***

– ორივე მხარისთვის, ოპოზიციისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენი უცხოელი პარტნიორების დამოკიდებულება, ვფიქრობ, გარკვეული კომპრომისი მაინც გამოიძებნება. არც ერთ მხარეს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ ხელი აუქნიოს ან ევროპელებს, ან ამერიკელებს, თუმცა სიტუაციას დრამატიზმს მატებს ის ფაქტორი, რომ ორივე მხარეს სახის შენარჩუნების პრობლემა უდგას. თუნდაც ერთი წუთით დავუშვათ, რომ ან ერთს ან მეორეს შინაგანად უნდა კომპრომისზე წასვლა, მაგრამ ის ამაზე ვერ წავა.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ სახე უნდა შეინარჩუნოს. დიპლომატიაში, პოლიტიკაში ეს ძალიან მნიშვნელოვანია, თუ, რასაკვირველია, პოლიტიკაზეა საუბარი. ოპოზიციამ უნდა შეინარჩუნოს სახე, რომ თავის მომხრეებს უთხრას, ტყუილად არ ვმდგარვართ ნოემბრის სუსხიან დღეებში ქუჩაში, ტყუილად არ გვიბრძოლიაო და, ბოლოს და ბოლოს, არ დაკარგოს მომხრეები.

რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, მანაც სახე უნდა შეინარჩუნოს, რათა მთელ მსოფლიოსა და თავის მომხრეებს არ უთხრას, რომ არჩევნები გააყალბა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, მოიძებნოს ისეთი კომპრომისი, რომელიც ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც სახეს შეუნარჩუნებს.

***– რა შეიძლება იყოს ასეთი კომპრომისი?***

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია: სად გადის ის ხაზი, რომ ეს კომპრომისი კაპიტულანტური არ იყოს, ყოველ შემთხვევაში, კაპიტულაციად არ გამოჩნდეს. თუ ფაშინიანის მაგალითს მოვიხმობთ, მართალია, შედარება ძალიან გროტესკულია, მაგრამ ის ამბობს, რომ ეს არ იყო კაპიტულაცია, რომ ეს იყო ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე კომპრომისი.

ჩვენს შემთხვევაში, პირველ რიგში, ხელისუფლება უნდა გამოვიდეს იმ პასუხისმგებლობიდან, რომელიც მას ქვეყნის წინაშე აკისრია. მან უნდა აიღოს ქვეყანაზე, მის სტაბილურობაზე, მშვიდობაზე პასუხისმგებლობა. ეს უნდა გააცნობიეროს პირველ რიგში და სწორედ აქედან გამომდინარე უნდა თქვას: მე მივდივარ კომპრომისზე სწორედ ამ პასუხისგებლობიდან გამომდინარე. ეს უნდა იყოს „ოცნების“ მთავარი გზავნილი თუნდაც მისი მომხრეებისადმი.

მე მაინც ჩვენი დასავლელი პარტნიორების იმედი მაქვს. ამერიკისა და ევროკავშირის ელჩები ცოტათი უფრო კვალიფიციურები არიან, ვიდრე მთლიანად აღებული ჩვენი სპექტრი, ამიტომ, მგონია, მათი აქტიურობით რაღაც კომპრომისი გამოიძებნება. დიპლომატია ხომ შესაძლებლობების ხელოვნებაა. ამიტომ კომპრომისი ყოველთვის შეიძლება მოინახოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან კულტურულად და დიპლომატიურად გვეტყოდნენ, ეს თქვენი საშინაო საქმეა და თქვენვე მოაგვარეთო.



***– შეიძლება, კომპრომისი იყოს, ახლა ვიღაცები შევიდნენ პარლამენტში და გაზაფხულზე რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს?***

– ვადამდელ არჩევნებსაც გამართლება უნდა, არგუმენტი უნდა, მაგრამ არა ასეთი – ეს არჩევნები გაყალბდა და ამიტომ ვნიშნავთ ახალ არჩევნებს. ამაზე ცოცხალი თავით არ წავა „ქართული ოცნება“. ნურავის აქვს იმის იმედი, რომ თუნდაც 8 მარტის შეთანხმების მაგალითი განმეორდება. მართალია, კალაძე მაშინაც ამბობდა, ფანჯარა დახურულია, კარი მიხურულია და საერთოდ ამოშენებულიაო, მაგრამ ის მაინც სხვა იყო. აქ ჩატარებულ არჩევნებზეა საუბარი. ეს გაცილებით რთული მოცემულობაა, თუმცა მე მაინც ჩვენი დასავლელი მეგობრების იმედი მაქვს, რაღაც მოდელი იქნება გამოძებნილი, მაგრამ, იმდენად სამარცხვინო მდგომარეობაში ვართ მთელი ქვეყანა, რომ შუამავლების გარეშე ერთმანეთთან ლაპარაკი არ შეგვიძლია. ეს ძალიან დამამცირებელია. ვერა და ვერ ვახერხებთ, თვითონ შევრიგდეთ. ამიტომაც გამოვიარეთ სამოქალაქო ომი, რომლის შედეგები დღესაც იგრძნობა.

***– სამწუხაროდ, მაშინ არ იყო უცხოელი პარტნიორების ჩართულობა და მივიღეთ სამოქალაქო ომი.***

– დიახ, სამწუხაროდ, მაგრამ დღეს ხომ უნდა შეგვეძლოს საუბარი, შერიგება, დათმობაზე წასვლა. თუ უცხოელები არ იქნებიან, ისევ სამოქალაქო ომი უნდა გვქონდეს?! ამ მოჯადოებული წრიდან ხომ უნდა გამოვიდეთ! არც დიპლომატიური სკოლა გვაქვს, არც ისეთი პოლიტიკოსები გვყავს, რომლებიც თავიანთ უპირატესობასა და მომავალზე კი არა, ქვეყნის მომავალსა და ქვეყნის უპირატესობაზე გააკეთებდნენ აქცენტს. ეს ძალიან სამწუხაროა. თუმცა, რაც არის, ეს არის, ჩვენ ახლა პოლიტიკოსებს ვერ გამოვცვლით. ამიტომ არსებული რეალობიდან გამომდინარე უნდა ვიპოვოთ გამოსავალი. პირველ რიგში, გამოსავლის პოვნა პოლიტიკოსების ვალია და ეს მათ უნდა შეძლონ. მერე პოლიტიკოსების ახალი თაობაც მოვა და სხვა რეალობაც იქნება, იმედია – ბევრად უკეთესი.

***– თქვენ კომპრომისზე საუბრობთ, მაგრამ, თუ ვერ მოიძებნა ასეთი შეთანხმება, მერე რა იქნება?***

– მერე რაც იქნება, იქნება ძალიან ცუდი, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნისთვის, მისი იმიჯისთვის გარეთ და, რა თქმა უნდა, ეს იქნება ცუდი ორივე მხარისთვის. ცუდი იქნება როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის. ეს უნდა გააცნობიერონ და აქედან გამომდინარე მიიღონ გადაწყვეტილება.

# „ოპოზიცია მერამდენედ უნდა აღმოჩნდეს „ოცნების“ დაგებულ მახეში?!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რება. თუ ის მორიგ ჯერზე გადააგდებდა ოპოზიციას, მერე გამოვიდოდნენ ქუჩაში. უნდა გვესმოდეს, რომ მხოლოდ პოლიტიკური კრიზისი არ გვაქვს. ზამთარში პანდემიის მართვასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები გვაქვს და ასევე სერიოზული პრობლემებია სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით. ასე რომ, თუ კრიზისის გადალახვა არ შეგიძლია, ის უნდა განათავსო იმ რეჟიმში, რომელიც სხვა რისკებისკენ დაგვიცავს და ეს არის პარლამენტის კედლები.

***– როცა ამდენი წელია, არჩევნების გაყალბებაზე ვსაუბრობთ, ხომ არ უნდა მივიდეთ იქამდე, რომ ვისაც წვლილი მიუძღვის დარღვევაში, დაისაჯოს? მათ შორის ცესკოს თავმჯდომარეც, თუ ესეც გამოიკვეთება?***

– საგამოძიებო კომისია ზუსტად შექმნიდა ამის საფუძველს. ტყუილად არ გიხსენეთ სისხლის სამართლის საქმეები. მაგალითად, გვაქვს პრეცედენტი, ციფრი ერთი როგორ გადააკეთეს ოთხიანად ერთ-ერთ უბანში. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. ვინც ეს ჩაიდინა, უნდა დაისაჯოს და საპარლამენტო კომისიას შეუძლია, ეს მოსთხოვოს პროკურატურას. კომისიის მუშაობის ფარგლებში რამდენი ასეთი საქმე გამოიკვეთება, ესეც ხომ არ ვიცით! საკმაოდ ფართო უფლებები აქვს კომისიას და, თუ საქმე ჟვანიამდეც მივიდოდა, მის დასჯასაც მოითხოვდნენ.

გარდა ამისა, ჩვენ ხომ გვინდა, სამომავლოდ ეს მოვაშთოთ და ხვრელები ამოვავსოთ! ამას სჭირდება ცვლილებები კანონმდებლობაში. ვინ უნდა მიიღოს ეს ცვლილებები?! ამიტომ, ვფიქრობ, რომ ეს იყო გამოსავალი. სამწუხაროდ, ძალიან მაღლა ასწია თამასა ოპოზიციამ, სწრაფი გამარჯვების მოლოდინი შექმნა საზოგადოების ნაწილში და, საბოლოო ჯამში, თავისივე ტაქტიკის მძევალი გახდა, რაც, ჩემი აზრით, შეცდომა იყო.

***– ოპოზიციაში სააკაშვილის დაბრუნების საკითხზე მწვავე დებატები ვნახეთ. რეალურად ოპოზიცია ერთიანია?***

– ერთიანობაზე ლაპარაკი სწორი საერთოდ არ მგონია. რატომ უნდა იყოს ოპოზიცია ერთიანი?!

***– თვითონ საუბრობენ ამაზე.***

– კი ბატონო, მაგრამ, არ დაგვავიწყდეს, რომ ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან და ხშირ შემთხვევაში მსოფლმხედველობრივადაც განსხვავდებიან. ჩვენ აქ ვსაუბრობთ არა ოპოზიციის ერთიანობაზე, არამედ მრავალფეროვანი ოპოზიციის თემატურ თანამშრომლობაზე ერთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

***– რომელია მართალი, მიშას მხარე თუ დანარჩენები?***

– რაში მაინტერესებს? ერთი თავისი ელექტორატისთვის არის მართალი, მეორე – თავისი ელექტორატისთვის.

***– მაშინ, საკითხს ასე დავსვამ: მიშას ჩამოსვლის საკითხი პროცესს ხელს შეუშლის თუ, პირიქით, ეფექტის მომტანი იქნება?***

– უკაცრავად, რას შეუშლის ხელს?

***– ოპოზიციის აქციებს.***

– აქციები მხოლოდ ინსტრუმენტია. თვითმიზანი ხომ არ არის აქციები! ეს მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტია და არა – ერთადერთი.

რა მნიშვნელობა აქვს ამას? ვინც თვლის, რომ შეუშლის, ის ნაციონალურ მოძრაობას არ მისცემს ხმას და, ვინც მიიჩნევს, რომ არ შეუშლის, ის მისცემს.

***– მაშინ, რატომ წამოსწიეს ეს თემა?***

– არ ვიცი. ეს არის ხელისუფლების შეგდებული თემა, რომ ოპოზიცია ამაზე ალაპარაკონ. ესენიც თაგუნიებივით ამ ხაფანგში მერამდენედ აღმოჩნდნენ! საერთოდ არ არის ეს საინტერესო. ეს რომ ერთი პარტია იყოს, რაღაც ინტრიგა ექნებოდა. მრავალფეროვან ოპოზიციაში ვიღაცა თვლის, რომ მიშა საზიანოა, ვიღაცა თვლის, რომ კარგია. მაგრამ ეს ხომ მათი თანამშრომლობის თემა არ არის! მათი თანამშრომლობის თემა რიგგარეშე არჩევნებია. ამ ძირითად მოთხოვნასთან რა კავშირი აქვს იმას, ვის მოსწონს და ვის არა მიშა?!

ეს არ მესმის.

# თემქაზე მიშო მელიქიშვილს ლევან შაბურიშვილის სახლში ყელი გამოსჭრეს

## დაკავებული არიან ნიკა ნარიმანიძე და მისი მეგობარი ქალი

14 ნოემბერს თბილისში, თემქაზე, მკვლელობა მოხდა.

მოკლული 36 წლის მიშო მელიქიშვილია, მკვლელობა კი მისი მეგობრის, ლევან შაბურიშვილის ბინაში მოხდა. თავად ლევანმა, რომელსაც ასევე ჭრილობები მიაყენეს, გაქცევით უშველა თავს.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბრალდებულმა კვალის დაფარვის მიზნით შემთხვევის ადგილს ცეცხლი წაუკიდა.

ლევან შაბურიშვილი თაკო ჩარკვიანის პარტიის „კანონი და სამართლის“ წევრია.

– ლევანის სახლში მოხდა ეს უმძიმესი დანაშაული. ლევანი ძლივს გადარჩა, ყელის არეში აქვს ჭრილობა მიყენებული. ლევანი მარტო პარტიის წევრი არ არის ჩვენი, ის უკარგესი ადამიანია, 20 წელია, ჩვენი თანამშრომელია. მსგავსი კეთილშობილი ადამიანი არ მინახავს. ფუტკარს ვეძახით ლევანს. მის სახლში მოხდა ეს ტრაგედია.

ცნობილია მკვლელის ვინაობა და ის დაკავებულია. მოკლულია ლევანის ბავშვობის მეგობარი, მიშო. თავად ლევანი გამოექცა მკვლელს, თორემ ამასაც მოკლავდა. ყელის არეში აქვს ჭრილობა მიყენებული.

კვალის დაფარვის მიზნით სახლი დაუწვა ლევანს. დანაშაული რომ დაეფარა, ბენზინი გადაასხა იქაურობას. როდესაც ეს ტრაგედია ხდებოდა, ლევანი მიშველებას ცდილობდა და მასაც ყელში დაუსვა დანა. ბეწვზეა გადარჩენილი. იმ მხეცმა ნაწვალები სახლი დაუწვა, – განაცხადა თაკო ჩარკვიანმა.

მიშო მელიქიშვილის მკვლელობისთვის 2 პირი დააკავეს.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ნ.ნ. განზრახ მკვლელობის, ასევე, ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისა და სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.




გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მეგობარ გოგონასთან – 1999 წელს დაბადებულ ა.უ.-სთან და კიდევ ერთ ნაცნობთან – 1984 წელს დაბადებულ მ.მ.-სთან ერთად 1983 წელს დაბადებული ლ.შ.-ის კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში სტუმრად იმყოფებოდა.

მ.მ.-სა და ნ.ნ.-ს შორის მომხდარი ურთიერთშელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა, რა დროსაც ნ.ნ.-მ ცივი იარაღის გამოყენებით მ.მ.-სა და ლ.შ.-ს სხეულზე დაზიანებები მიაყენა. ლ.შ.-მ გაქცევა მოასწრო, ხოლო მ.მ. მიყენებული ჭრილობების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

ლ.შ. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით გადაყვანილია ერთ-ერთ საავადმყოფოში.

ბრალდებულმა, კვალის დაფარვის მიზნით, შემთხვევის ადგილზე ხანძარი გააჩინა და თანმხლებ გოგონასთან ერთად მიიმალა.

სამართალდამცველებმა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად, დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ნ.ნ.-ის თანმხლებმა გოგონამ – 1999 წელს დაბადებულმა ა.უ.-მ მომხდარი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სამართალდამცველებს არ შეატყობინა, რის გამოც პოლიციამ იგი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავა. დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის, ასევე, ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის, სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურებისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს“.

მკვლელობისთვის დაკავებული პირი 31 წლის ნიკა ნარიმანიძე გახლავთ. ნარიმანიძის ფეისბუქაქტივობით ცნობილი ხდება, რომ ის ჩართული იყო ოპოზიციურ მოძრაობაში, ძირითადად შრომითი უფლებების მიმართულებით.

ნიკა ნარიმანიძე „ლელოს“ აქტიური მხარდამჭერია. ის საკუთარ ფეისბუქზე აზიარებდა ინფორმაციებს მისი მეგობრის, პარტია „ლელოს“ წარმომადგენლის, გიგლა მიქაუტაძის აქტივობების შესახებ.

„კურიერმა“ ინტერვიუ მოიპოვა ლევან შაბურიშვილთან, რომლის სახლშიც მოხდა მკვლელობა.

ლევან შაბურიშვილი ამბობს, რომ მას არც ჩხუბისა და არც კამათის ხმა არ გაუგონია არც მაშინ, როცა სტუმრებთან ერთად სვამდნენ ლუდს და არც მაშინ, როცა მან დატოვა სტუმრები მარტო და გავიდა ცალკე ოთახში დასაძინებლად.

– მე რომ შევვარდი, მიშო, მიშო-მეთქი, ვყვიროდი. მიშო პირქვე იყო დავარდნილი, გადმოვაბრუნე და სისხლი მოსდიოდა. სიბნელეში შევამჩნიე და უკვე რომ წამოვდექი, ამან ხელი გადამხვია, დავინახე, რომ ჩვეულებრივი დანა არ იყო, ვერცხლისფერი მეტალის, ბასრი დანები რომ არის, მშენებლობაში იყენებენ, სავარაუდოდ ის ჰქონდა და ეგრევე გამომისვა მეც. ამასობაში მეზობლები გამოვიდნენ, დამანება თავი და აბრუნდა უკან, დავეშვი დაბლა.

მესამე სართულზე მეზობელმა შემიფარა, სისხლი მომდიოდა. ამასობაში, უკან რომ ავიდა, ბენზინი გადაასხა, ცეცხლი წაუკიდა ცხედარს და გაიქცნენ, – თქვა დაზარალებულმა ლევან შაბურიშვილმა.

# აკაკი ქვრივიშვილი, ნიკოლოზ ცუცქირიძე, ლაშა შერმადინი, გიორგი მერაბიშვილი, ნიკოლოზ ქანაშვილი და ზ.ხ. სასამართლომ დამნაშავედ ცნო

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე დაკავებული პირები – ზ.ხ., აკაკი ქვრივიშვილი, ნიკოლოზ ცუცქირიძე, ლაშა შერმადინი, გიორგი მერაბიშვილი და ნიკოლოზ ქანაშვილი მცხეთის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე მაია ოშხარელმა 13 ნოემბერს გამოაცხადა.

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე დაკავებულ პირებს – ლაშა შერმადინს, ნიკოლოზ ცუცქირიძესა და გიორგი მერაბიშვილს ჯგუფურ ძალადობას, ორგანიზებას და მასში მონაწილეობას, აკაკი ქვრივიშვილს, ნიკოლოზ ქანაშვილს და ზ.ხ.-ს ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას, ზ.ხ.-ს და აკაკი ქვრივიშვილს ასევე თავისუფლების უკანონო აღკვეთას ედავებოდნენ, რაც დაზარალებულ გურამ ამირხანაშვილისთვის თავისუფლების აღკვეთას მოიცავდა.

გიორგი შაქარაშვილის საქმეზე სულ 17 პირია დაკავებული, მათგან 6 არასრულწლოვანი



იყო, ამჟამად კი ყველა მათგანი, ზ.ხ.-ს გარდა, სრულწლოვანია.

მსჯავრდებულ ნიკოლოზ ცუცქირიძის ადვოკატ არჩილ ბერიანიძის განცხადებით, გამამტყუნებელი განაჩენი არა მხოლოდ დაუსაბუთებელია, არამედ, ის საფრთხეს უქმნის მთლიანად სისხლის სამართლის პოლიტიკას.

როგორც ბერიანიძე განმარტავს, ადვოკატები მაია ოშხარელის მიერ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

– აღნიშნული გადაწყვეტილება აბსოლუტურად მოულოდნელი იყო არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ყველა დამცველისთვის, მათ შორის, ბრალდებულებისთვის, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისთვის. შესაბამისად, წარმოდგენა არ მაქვს, რით შეიძლება დაასაბუთოს აღნიშნული განაჩენი მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ.

გამოძიების დაწყების, სასამართლოს პირველივე დღიდან ჩვენ ვამბობთ, რომ საქმეში მტკიცებულება არ არის, ყველა სასამართლო პროცესზე დასტურდებოდა, რომ ბრალდების მხარეს არ შეეძლო სასამართლოში წარმოედგინა ნიკოლოზ ცუცქირიძისთვის ბრალის დამტკიცების საკმარისი მტკიცებულება, ერთი მაინც. განაჩენის ჩაბარების შემდეგ, რა თქმა უნდა, აღნიშნულ გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ, ეს არა მხოლოდ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებაა, არამედ, მთლიანად სისხლის სამართლის პოლიტიკას უქმნის მომავალში საფრთხეს.

ბრალდების მხარე თავიდანვე ეყრდნობოდა მტკიცებულებებს, მათ შორის, გურამ ამირხანაშვილის ჩვენებას, როგორ შეიძლება, ბრალდების მხარე დაეყრდნოს იმ ჩვენებას და გამოკითხვის იმ ოქმებს, რომლებიც რამდენიმეჯერ არის მიცემული და არსებითად საკუთარ თავს ეწინააღმდეგება.

მოწმის რამდენიმეჯერ მიცემული ჩვენება არ ავსებდა საკუთარ ჩვენებას და ინფორმაციულს კი არ ხდიდა, არამედ გამორიცხავდა წინა ჩვენებაში მიცემულ ინფორმაციას. ობიექტური შეფასების შემთხვევაში, ასეთ მოწმეებზე დაყრდნობით, სასამართლო ვერაფრით გამოიტანდა გამამტყუნებელ განაჩენს, მაგრამ ფაქტი სახეზეა, სასამართლომ ბრალდებულები ყველა წარდგენილ ბრალში გაამტყუნა, – განაცხადა ადვოკატმა ბერიანიძემ.

იპნ

# რეინჯერი თეიმურაზ ლომიძე დაიღუპა

ბორჯომ-ხარაგაულისეროვნული პარკის ნეძვის აღკვეთილის რეინჯერი თეიმურაზ ლომიძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მძიმედ დაშავდა. გადაუდებელი დახმარების ბრიგადამ იგი საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ინფორმაციას „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ სოციალურ ქსელში ავრცელებს და ოჯახის მიმართ მწუხარებას გამოთქვამს.

„ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ნეძვის აღკვეთილის რეინჯერი თეიმურაზ ლომიძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მძიმედ დაშავდა.

სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ბრიგადამ რეინჯერი საავადმყოფოში გადაიყვანა. სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და დაცული ტერიტორიების სააგენტო მწუხარებას გამოთქვამს აღნიშნული ფაქტის გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.

რეინჯერი თეიმურაზ ლომიძე 2006 წლიდან მუშაობდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში. იგი საკუთარი საქმის მცოდნე, ბრაკონიერებთან შეუპოვარი ბრძოლითა და თავდადებული შრომით გამორჩეული თანამშრომელი იყო“, – წერია განცხადებაში.

# პოლიციამ თბილისში ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით 3 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ორი პირი: 2001 წელს დაბადებული თ.ე. და 2002 წელს დაბადებული თ.კ., ასევე, 1995 წელს დაბადებული ა.გ. თბილისში დააკავეს. მათ ბრალად ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობა ედებათ.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მეტროსადგურ „სამედიცინო უნივერსიტეტის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ცივი იარაღის მუქარით 1993 წელს დაბადებულ ნ.ს.-სა და მის მეგობარს – 1999 წელს დაბადებულ ნ.ს.-ს თანხა წაართვეს და გააფრთხილეს, რომ თუ პოლიციას მიმართავდნენ, ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ.

მოგვიანებით, ერთ-ერთმა დაზარალებულმა სოციალურ ქსელ ფეისბუქში გამოაქვეყნა პოსტი, სადაც მომხდარ ფაქტზე ისაუბრა და 2 თავდამსხმელის იდენტიფიცირება მოახდინა, რის შემდეგაც პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამივე ბრალდებული რამდენიმე საათში დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობას გულისხმობს.

# გორში მდინარესთან მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში მდინარის პირზე ცხედარი იპოვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სამძებრო სამუშაოები 14 ნოემბერს, გვიან ღამით აწარმოეს.

მამაკაცის ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს.

ექსპერტიზაზე დაიბარეს ერთი წლის წინ ამავე სოფელში გაუჩინარებული მამაკაცის ოჯახის წევრები.

# თბილისში, გელოვანზე, მანქანა ქალს დაეჯახა

## ქალი ადგილზე დაიღუპა

თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზე, ავტომანქანა ქვეითს დაეჯახა.

ქალი ადგილზე დაიღუპა.




გამოძიება 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# „მეზობელმა თავში ესროლა“

## ქობულეთში 31 წლის დათო შარაშიძე მოკლეს

14 ნოემბერს ქობულეთში, სოფელ ხალაში, შუახნის მამაკაცი მოკლეს.

დაპირისპირება თანასოფლელებს შორის მოხდა.

– როგორც ვიცი, ძალიან კარგი მეზობლები იყვნენ. წინათ კონფლიქტი არ ჰქონიათ. სხვა დეტალები არ ვიცი. მოკლულ 31 წლის მამაკაცს ოჯახი ჰყავდა, მისი მეუღლე შვილს ელოდება, – განაცხადა ქობულეთის მერიის წარმომადგენელმა მზია აბაშიძემ.

მამაკაცს თავის არეში სანადირო თოფით ტყვია ესროლეს. ადგილობრივი მოსახლეობა ასევე ამბობს, რომ მკვლელი მიიმალა, ამასთან, მას 2 თანამზრახველიც ჰყავდა.

„ამბების“ ინფორმაციით, მოკლული დათო შარაშიძეა. ის და მისი ორსული მეუღლე ჩაქვის ტაძრის მრევლი იყვნენ.

– დათო გამოირჩეოდა ყურადღებით. მეგობრებისა და თანასოფლელების მიმართ ძალიან თბილი იყო. ცოლი ახლახან მოიყვანა და მალე ბავშვს ელოდებიან. თითქმის ყოველ უქმე დღეებზე დათო ტაძარში დადიოდა. გაოგნებული ვართ მომხდარით, – თქვეს მოკლულის მეგობრებმა.

ადგილზე სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებული.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# ბათუმში ქალის მკვლელობისთვის 43 წლის ზაზა დავითაძე დააკავეს

ბათუმში ქალის მკვლელობისთვის პოლიციამ ჩაქვში 1 პირი დააკავა.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1977 წელს დაბადებული ზ.დ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.



დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 6 ნოემბერს, ნაცნობს – ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეს – 1971 წელს დაბადებულ ტ.ჩ.-ს, ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე მისსავე დროებით საცხოვრებელ ბინაში, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მიყენებული ჭრილობების შედეგად ტ.ჩ. ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“.

დაკავებული 43 წლის ზაზა დავითაძეა.

„ამბების“ ცნობით, მოკლულთან დავითაძეს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა, ერთი ვერსიით, ის მისი პარტნიორი იყო, თუმცა, რატომ მოხდა მკვლელობა, ამაზე პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს.

– ზაზას ვიცნობ, მასზე ცუდს ვერაფერს გეტყვით. ის არ იყო აგრესიული ადამიანი. ჩემს უბანში ცხოვრობს. ჰყავს შვილი, მეუღლესთან აღარ ცხოვრობს. ამ დანაშაულზე ვერაფერს ვიტყვით. ამჟამად არ მუშაობდა, პოლიტიკაში იყო ჩართული. თავიდან „ქართული ოცნების“ გვერდზე იდგა, მაგრამ, რომ ვერ დაასაქმეს და უმუშევარი დარჩა, უკვე ოპოზიციაში გადავიდა, – განაცხადა ადგილობრივმა.

# სომხეთში უშიშროების ყოფილი შეფი არტურ ვანეციანი დააკავეს

## მას ფაშინიანზე ტერაქტის მომზადებას აბრალებენ



სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი არტურ ვანეციანი, რომელსაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის მკვლელობის მომზადებას ედავებიან, ბრალს არ აღიარებს. ამის შესახებ ვანეციანის ადვოკატმა განაცხადა.

მისი თქმით, ხელისუფლება ცდილობს, უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი ფაშინიანის მკვლელობაში დაადანაშაულონ, რასაც ადვოკატი სამარცხვინო პოლიტიკურ დევნას უწოდებს.

ადვოკატის განცხადებით, ამ საქმეზე არანაირი მტკიცებულება არ არსებობს.

მედიის ინფორმაციით, ვანეციანი გასული ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ დააკავეს. ბოლოს ის საგამოძიებო ორგანოში დაიბარეს, რის შემდეგაც დააკავეს. ის ნიკოლ ფაშინიანის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა.

არტურ ვანეციანი ეროვნული უშიშროების სამსახურს 2018 წელს ხელმძღვანელობდა. უშიშროების შეფის პოსტზე ის პრემიერმა ფაშინიანმა დანიშნა. შემდგომში მათ შორის ურთიერთობა გაფუჭდა, ვანეციანი თანამდებობიდან მოხსნეს. ის პოლიტიკაში წავიდა და პარტია „სამშობლოს“ ჩაუდგა სათავეში.

# აზერბაიჯანი რუსეთიდან ელჩის გაწვევის შესახებ ინფორმაციას უარყოფს



აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, რუსეთიდან ელჩი გაიწვია.

— ყველა ინფორმაცია, რომელიც ამ თემაზე გავრცელდა, უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ოფიციალურ წყაროებს, — განაცხადეს უწყებაში.

სამინისტროში აღნიშნეს, რომ დიპლომატების დანიშვნა და გაწვევა სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციაა.

რუსეთში აზერბაიჯანის ელჩის გაწვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია გავრცელდა ელჩის განცხადების ფონზე, რომელიც სომხეთის ტერიტორიაზე რამდენიმე დღის წინ რუსეთის სამხედრო ვერტმფრენის ჩამოგდების შესახებ გაკეთდა.

მან განაცხადა:

— ომში ყველაფერი ხდება.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანაშემწე ჰიქმეთ გაჯიევმა განაცხადა, რომ ბაქო მსგავს განცხადებებს უადგილოდ მიიჩნევს.

ფოლად ბულბულოღლის ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც მკაცრად გააკრიტიკეს.

# თეირანში ცნობილი ტერორისტი მოკლეს



თეირანში ცნობილი ტერორისტი, ალქაიდას ერთ-ერთი ლიდერი აბდულჰან აჰმედ აბდულჰანი მოკლეს.

სწორედ მან მოაწყო 1998 წელს გახმაურებული აფეთქებები ტანზანიასა და კენიაში. მაშინ აშშ-ის საელჩოების წინ ბომბები აფეთქდა. დაიღუპნენ ადამიანები. აქედან 24 აშშ-ის მოქალაქე იყო. დაიჭრა 4.000-მდე ადამიანი.

აბდულჰანის ლიკვიდაციის ოპერაცია აშშ-ისა და ისრაელის სპეცსამსახურებმა განახორციელეს.

აბდულჰანს კი უშუალოდ ისრაელის აგენტებმა ესროლეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. კეთდება მხოლოდ კბილის მოსახსნელი პროთეზები, გარანტიით. არის იტალიური, რუსული წარმოშობის. ტელ: 555-72-64-98.

# გრიზლი მამა-შვილს თავს დაესხა



ამერიკის მონტანას შტატში მონადირე მამა-შვილი დათვის თავდასხმის შედეგად დაშავდნენ.

მამა-შვილი ტბა სმიტის რაიონში კანადის საზღვრის სიახლოვეს ნადირობდა. მოულოდნელად ტყიდან გზის პირზე გრიზლი გამოვარდა და თავს დაესხა. მათ მტაცებლის მოკვლა მოახერხეს, თუმცა ცხოველმა ორივესთვის სერიოზული დაზიანებების მიყენება მოასწრო.

— იმ მტკიცებულებების მიხედვით, რომლის შემთხვევის ადგილზე მოპოვება შევძელით და ასევე დაშავებულების მონათხრობით, ადგილი ჰქონდა მოულოდნელ შეჯახებას მოზრდილ ძუ გრიზლისთან, რომელიც საკუთარ ტერიტორიას და ნაშიერებს იცავდა, — განაცხადა მონტანას შტატის პარკებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სააგენტოს წარმომადგენელმა.

# ლატარიის გამარჯვებულმა მამაკაცმა მუშაობაზე უარი განაცხადა



ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ როკ-ჰილის მცხოვრებმა მომენტალურ ლატარიაში 350 ათასი მოიგო და სამსახურში თავის უფროსს უთხრა, რომ იმ დღეს მუშაობას აღარ აპირებდა.

მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, 10 დოლარიანი მომენტალური ლატარიის ბილეთი იყიდა. ის მანქანით თავისი სამსახურის შენობასთან მივიდა და იქ გადაფხიკა ბილეთზე დამცავი ფენა. თავდაპირველად მამაკაცმა დაინახა, რომ 70 ათასი დოლარი მოიგო, შემდეგ კი დამცავი ფენის ქვეშ გამოჩნდა სიტყვა „ჯუმბო“, რომლის წყალობითაც მისი მოგება ხუთზე გადამრავლდა, საბოლოოდ მისმა მოგებამ 350 ათასი დოლარი შეადგინა.

ლატარიის გამარჯვებული ოფისში შევიდა და ხელმძღვანელს განუცხადა, რომ ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგო და იმ დღეს მუშაობას აღარ აპირებდა. ის ამის შემდეგ საკუთარ მანქანაში დაბრუნდა და ქალაქ კოლუმბიაში მდებარე ლატარიის ოფისში გაემგზავრა თავისი მოგების მისაღებად.

# შიშველი შეყვარებულები პაბში სექსით დაკავდნენ



ინგლისის ბერკშირის საგრაფოს ქალაქ რედინგში შეყვარებულები გამვლელების თვალწინ გაშიშვლდნენ და სექსით დაკავდნენ. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კადრები, რომელშიც შიშველი ქალი და მამაკაცი პაბში სექსით არიან დაკავებულები, სოციალურ ქსელ ტვიტერში გამოქვეყნდა.

— იმედია, სკამები სუფთაა. ეს უკვე იზოლაციის სულ სხვა ფორმაა... სრულიად აღმაშფოთებელია, — დაწერა ვიდეორგოლის კომენტარში მისმა ავტორმა.

# კამეჩებმა სპლიყვი ლომებისგან დაიცვეს



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში კამეჩების ჯოგმა სპლიყვი მასზე მონადირე ლომებისგან იხსნა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლში ჩანს ზურგზე მწოლიარე სპლიყვი, რომელიც ლომების გარემოცვაში იმყოფება. მოულოდნელად კადრში ჩნდება რამდენიმე კამეჩი, რომლებიც უშიშრად უახლოვდებიან ცხოველებს. მათ დანახვაზე ლომები მიმოიფანტნენ და თავიანთი პოტენციური ნადავლი მიატოვეს.

ამის შემდეგ სპლიყვი ფეხზე წამოდგა და თავის მხსნელებთან ერთად მიიმალა.

# პენსიონერების წყვილმა სათამაშოებისა და კომიქსების კოლექცია კინაღამ ნაგავში გადაყარა



ინგლისის უესტ-მიდლენდსის საგრაფოს ქალაქ სტაურბრიჯში პენსიონერების წყვილმა კინაღამ გადაყარა სათამაშოებისა და კომიქსების კოლექცია, რომლის ფასი 410 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

მეზობელმა გარდაცვალების შემდეგ ხანშიშესულ წყვილს სათამაშოების, ფიგურებისა და კომიქსების საკუთარი კოლექცია დაუტოვა. მათ კი ის უსარგებლოდ ჩათვალეს, ნაგვისთვის განკუთვნილ ტომრებში მოათავსეს და ავტოფარეხში ინახავდნენ. მათ შეუკვეთეს ნაგვის გასატანი მანქანა, თუმცა მანამდე მოასწრეს, მის შესაფასებლად ექსპერტ კრის ასტონს დაჰკავშირებოდნენ.

სპეციალისტმა ტომრებში მოთავსებული ნივთები გულდასმით დაათვალიერა და აღფრთოვანებული დარჩა, ვინაიდან მათ შორის აღმოაჩინა „ვარსკვლავური ომების“ სათამაშოები და ბეტმენის უიშვიათესი ფიგურა. ასტონმა დაიყოლია პენსიონერები, გაეუქმებინათ ნაგვის გატანა და მათი მისი აუქციონის სახლისთვის მიყიდვა შესთავაზა.

აუქციონერის თქმით, მან თავისი 15– წლიანი მუშაობის განმავლობაში საუკეთესო აუქციონი გამართა, თუმცა ის მისთვის უკანასკნელი გამოდგა, ვინაიდან კორონავირუსის ინფექციის გამო მისი ბიზნესი, მთლიანობაში, წამგებიანი გახდა და მისი დახურვა მოუხდა.

# ოთხი წლის ბიჭმა ძმა გადაარჩინა და საჩუქრად სახანძრო მანქანით გაასეირნეს



ამერიკის კალიფორნიის შტატის მკვიდრმა ოთხი წლის ბიჭმა ძმა დახრჩობას გადაარჩინა და სახელი გაითქვა. მისი გმირული საქციელისთვის ბიჭს სახანძრო მანქანით გასეირნება მოუწყვეს.

ნოემბრის დასაწყისში ლოს-ანჯელესის მკვიდრი ოთხი წლის მეისონ ოჩოა სახლში მშობლებთან ერთად ისვენებდა. მან ფანჯარაში გაიხედა და დაინახა, რომ მისი ერთი წლის ძმა ნიკოლასი აუზში ჩავარდა. მეისონი ძმის გადასარჩენად იმწამსვე გარეთ გამოვარდა.

მეისონმა ძმას ხელში სტაცა ხელი, თავი წყალს ზევით დაუჭირა და ყვირილი მორთო. მის ხმაზე დედა გამოვარდა და ნიკოლასი წყლიდან ამოიყვანა. ქალმა ქმარს მაშველების გამოძახება სთხოვა, ვინაიდან ბავშვს სახე გაუწითლდა და არ სუნთქავდა.

ადგილზე მისულმა სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა ბავშვი გაგუდვისგან იხსნეს. ამის შემდეგ ექიმებმა ნიკოლასს გამოკვლევა ჩაუტარეს და მას რაიმე სახის დაზიანება არ აღმოაჩნდა.

ადგილობრივმა მაშველებმა მაღალი შეფასება მისცეს ოთხი წლის მეისონის საქციელს. მათ ბიჭი სახანძრო ნაწილში მიიწვიეს და თავიანთი მანქანით გასეირნების, ფორმის მორგებისა და სახანძრო მილის ჩართვის უფლება მისცეს, ამ ყოველივეს შემდეგ კი გმირობისთვის განკუთვნილი პრემიით დააჯილდოვეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ანსამბლი „დიდგორი“ ნიკა ქავთარაძისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს



ფოლკლორული ანსამბლი „დიდგორი“ გადაცემა „ფსკერის“ წამყვან ნიკა ქავთარაძისგან ბოდიშის საჯაროდ მოხდას ითხოვს. ამის მიზეზი გადაცემაში გასული ვიდეოა:

— „დიდგორის“ ერთგული მსმენელი კარგად გვიცნობს აგერ უკვე 16 წელია, იცის, რაოდენ მნიშვნელოვანი და ფასეულია ჩვენთვის ქართული ხალხური სიმღერა — ყველაფერი, რაც მას უკავშირდება.

მსგავსი პოსტებით არ გამოვირჩევით. სამწუხაროდ, გვიწევს, თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ბოლოდროინდელ სამარცხვინო ამბავზე.

კატეგორიულად მიუღებელია 9 ნოემბერს ,,ფორმულას“ სატელევიზიო გადაცემა „ფსკერისა“ და მისი წამყვანის ნიკა ქავთარაძის ფეისბუქგვერდებზე განთავსებული ,,იუმორისტული“ ვიდეო, სადაც ,,დიდგორის“ მიერ ნამღერი „ხასანბეგურა“ დაამონტაჟეს, აბსოლუტურად სხვა ხმა დაადეს და ასე გადაწყვიტეს აწ უკვე პოლიტიკოსის, დიდგორელი ნოდარ ტურძელაძისა და მასთან ერთად ჩვენი ანსამბლის, ამასთანავე, დიდებული ქართული ხალხური სიმღერის საქვეყნოდ დაცინვა.

ვთვლით, რომ ძალზე შეურაცხმყოფელია ნიკა ქავთარაძის დამოკიდებულება ქართული მრავალხმიანობის, ,,დიდგორის“ მრავალწლიანი შრომის მიმართ.

ანსამბლი ,,დიდგორი“ მოვითხოვთ — ნიკა ქავთარაძემ საჯაროდ მოგვიხადოს ბოდიში ჩვენ და შეცდომაში შეყვანილ საზოგადოებას.

ჩვენ ვცდილობთ, სწორედ ამ უნიკალური ქართული მრავალხმიანობით, ქართული სამოსით, ერთობით წვლილი შევიტანოთ ტრადიციის გაგრძელებაში. მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში გავმართეთ კონცერტები, მასტერკლასები თუ შეხვედრები, გავიცანით უამრავი ადამიანი და მათ გავაცანით საქართველო, მისი ტრადიციები და კულტურა. ასევე, საქართველოში ვუმასპინძლეთ ძალიან ბევრ უცხოელს, რომლებმაც სიმღერით აღმოაჩინეს ჩვენი სამშობლო.

მსგავსი დამოკიდებულება დიდი სირცხვილია.

# კინოსტუდიის გაუქმებული აუზი ახალგაზრდების თავშეყრის ადგილად იქცა



არქიტექტურული ბიენალეს ინიციატივითა და ქართული ფილმის განვითარების ფონდის ხელშეწყობით კინოსტუდიის გაუქმებული და უფუნქციოდ დარჩენილი აუზი ახალგაზრდების თავშეყრის ადგილად იქცა.

ინფორმაცია ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა გაგა ჩხეიძემ გაავრცელა:

— ეს ერთი და სხვა მრავალი! არქიტექტურული ბიენალეს ინიციატივითა და ქართული ფილმის განვითარების ფონდის ხელშეწყობით კინოსტუდიის გაუქმებული და უფუნქციოდ დარჩენილი აუზი გარდაიქმნა და ახალგაზრდების თავშეყრის ადგილად იქცა. საინტერესო არქიტექტურული ჩანაფიქრი უმოკლეს ვადებში განხორციელდა და შეიქმნა ძალიან შთამბეჭდავი მულტიფუნქციური კულტურული სივრცე. ამით „ძველი კინოსტუდია“ ახალ სიცოცხლეს იწყებს. ასე თუ გაგრძელდა (და ამის ყველა წინაპირობა არსებობს), ეს ტერიტორია მალე გადაიქცევა ღია და პოპულარულ ადგილად შემოქმედებითი ახალგაზრდობისთვის.

ვულოცავთ ბიენალესა და ქართველ კინემატოგრაფისტებს.

ყველას გიწვევთ, გაგვიზიაროთ თქვენი შთაბეჭდილებები და შემდეგ იდეები, თუ როგორ შეიძლება ვაქციოთ ეს ადგილი ქალაქის ცენტრში არტისტულ ქალაქად.

# იაკობ გოგებაშვილის 180 წლის იუბილე ვარიანში აღინიშნა



„დედა ენის“ ავტორ იაკობ გოგებაშვილის 180 წლის იუბილე მის მშობლიურ ვარიანში მოკრძალებულად აღინიშნა.

იაკობ გოგებაშვილის საიუბილეოდ გრანდიოზული ღონისძიება იყო დაგეგმილი, თუმცა, პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, ყველაფერი სამომავლოდ გადაიდო. ამჯერად იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში მდგარ ეკლესიაში მეუფე ანდრიამ პანაშვიდი გადაიხადა, მწერალთა კავშირის წევრებმა დიდი მოღვაწის ძეგლი ყვავილებით შეამკეს, განხორციელდა უპრეცედენტო პროექტი „ქართული დიასპორა სტუმრად იაკობთან“, რომელშიც ჩაერთვნენ ირლანდიაში, ნიდერლანდების სამეფოში, საბერძნეთში, ბელგიაში, შვეიცარიასა და თურქეთში არსებული საკვირაო სკოლები.

ამავე დღეს კიდევ ერთი უპრეცედენტო პროექტი განხორციელდა — ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმს შორის ონლაინექსკურსია „ნაცნობი უცნობი იაკობი“ გაიმართა. ამ პროექტის ფარგლებში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს იაკობის პირადი ნივთების კოლექცია, მისი სამუშაო სივრცე, სახლი ვარიანში და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მისი ნაწერები. ვარიანის სკოლის მოსწავლეებმა გააზიარეს ამბები, რომლებსაც იაკობის სოფელში სიყრმიდან ისმენდნენ. ამ დღესვე მოხდა იაკობის სახელობითი შრიფტის წარდგენა! — შრიფტი შექმნა კალიგრაფმა დავით მაისურაძემ კომპანია „ჯეპრას“ ფინანსური მხარდაჭერით. ჩატარდა ონლაინექსკურსია ერთდროულად ვარიანში, იაკობის სახლსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ვარიანის მუზეუმს საჩუქრად გადაეცა ფრთოსანი ანბანი, რომელიც კალიგრაფმა ცირა ბულაშვილმა შექმნა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ნორვეგია სახელმწიფომ სათამაშოდ არ გაუშვა



ნორვეგიის ნაკრები, რომელიც ერთა ლიგის ბ ლიგის პირველ ჯგუფში პირველი ადგილისთვის იბრძვის, რუმინეთში ჩასატარებელ მატჩზე ქვეყნის მთავრობამ არ გაუშვა.

მიზეზიც კორონავირუსია. სკანდინავიური ნაკრების ერთადერთ ფეხბურთელ ომარ ელაბდელაუის კორონავირუსი დაუდასტურდა. შედეგად, ნორვეგიის მთავრობამ ნაკრებს ქვეყნის დატოვება აუკრძალა, რადგან ინფიცირებულთან კონტაქტის მქონე ყველა ადამიანმა კარანტინში უნდა გადაინაცვლოს.

ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა ტერე სენდსენმა, გუნდის კაპიტნებმა სპეციალური განცხადებებიც გააკეთეს.

ნორვეგიის ჯანდაცვის სამინისტრომ კი მკაცრი უარი განაცხადა, ასოციაცია კი, მისი პრეზიდენტის თქმით, სახელმწიფოს წინააღმდეგ ვერ წავა.

ამჟამად ნორვეგიელები ჯგუფში 4 ტურის შემდეგ მეორე პოზიციაზე არიან და ავსტრიასთან ერთად 9-9 ქულა აქვთ. მესამეზე რუმინეთია 4 ქულით, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდია 1 ქულით ბოლოზე.

# რამოსის გაცუდებული პენალტები გერმანიის შანსია



ერთა ლიგის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მე-5 ტურში მთავარი ყურადღება ა ლიგის ამბებია. აქ გრანდები თამაშობენ და ბევრი რამ უკვე გაირკვა.

პირველი ნაკრები, რომელმაც ფლეი ოფში თამაში გაინაღდა, საფრანგეთია, რომელმაც პორტუგალიას სტუმრად 1:0 მოუგო. გამარჯვების გოლი 53-ე წუთზე „ჩელსის" ნახევარმცველმა ნგოლო კანტემ გაიტანა.

დიდიე დეშამის გუნდს ჯგუფში პირველი ადგილს ველარავინ შეეცილება. მართალია, იმავე პორტუგალიას შანსი აქვს, დაეწიოს, მაგრამ ურთიერთშეხვედრებით საფრანგეთი სჯობნის.

ამავე ჯგუფში შვედეთმა 2:1 მოუგო ხორვატიას. ეს სკანდინავიური ნაკრების პირველი 3 ქულაა მიმდინარე გათამაშებაში. ამ გამარჯვებით შვედებს ა ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსი დარჩათ.

გერმანიის ნაკრებმა ლაიპციგში 3:1 სძლია უკრაინას. ანდრეი შევჩენკოს გუნდი რომან იარემჩუკის გოლით კი დაწინაურდა, მაგრამ გერმანელებმა პირველივე ტაიმში ლეროი სანესა და ტიმო ვერნერის გოლებით უპასუხეს. 64-ე წუთზე იმავე ვერნერმა მე-3 გოლიც გაიტანა და თამაშის ბედიც გადაწყვიტა.

ამავე ჯგუფში ესპანეთის ნაკრებმა ვერ მოიგო (1:1) შვეიცარიასთან გასვლითი მატჩი და პირველი ადგილი გერმანელებს დაუთმო. არადა, კაპიტანმა სერხიო რამოსმა 2 პენალტი ვერ გაიტანა.

ამ ჯგუფში პირველი ადგილისა და ფლეი ოფის საგზურის მფლობელს ესპანეთ-გერმანიის უშუალო დაპირისპირება გაარკვევს, რომელიც ბოლო ტურში გაიმართება.

ც ლიგაში ჯგუფში პირველი ადგილი დაკარგა ლუქსემბურგმა, რომელმაც სტუმრად 1:2 წააგო კვიპროსთან. არადა, იგებდნენ, მაგრამ 33-ე წუთზე ფეხბურთელი გაუძევეს და დამარცხდნენ.

ლუქსემბურგელთა ამ წაგებით ისარგებლა ჩერნოგორიამ, რომელიც სტუმრად 0:0 ეთამაშა აზერბაიჯანს. პირველი ტაიმის ბოლოს ჩერნოგორიელებიც 10 ფეხბურთელის ამარა დარჩნენ მოედანზე, მაგრამ გაძლეს და მნიშვნელოვანი ქულა ჩაიწერს აქტივში. ფლეი ოფში გასასვლელად ჩერნოგორიას ბოლო ტურში შინ კვიპროსის დამარცხება მართებს.

დ ლიგაში ყველაფერს ბოლო ტური გადაწყვეტს. პირველ ჯგუფში მალტამ 3:1 ანდორასთან, ხოლო ფარერებმა სტუმრად 1:1 ითამაშეს ლატვიასთან. ფარერები 3 ქულით უსწრებს მალტას და ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშება. პირველი შეხვედრა ფარერებმა 3:2 მოიგო. მალტას მხოლოდ მოგება სჭირდება, ხოლო ურთიერთშეხვედრებისთვის რა ანგარიშით, რთული დასათვლელი არ არის.

მეორე ჯგუფის ბოლო ტურში გიბრალტარი შინ დაუხვდება ლიხტენშტეინს და, თუ პირველი ადგილი უნდა, არ უნდა წააგოს. დანარჩენი მათ ხელშია... არადა, გიბრალტარს შეეძლო, ეს საკითხი ვადამდე გადაეწყვიტა, თუმცა კაცნაკლულ ანდორას ვერ მოუგო – 0:0.

## შედეგები

**14 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ერთა ლიგა**

| | |
|---|---|
| პორტუგალია-საფრანგეთი | 0:1 |
| შვედეთი-ხორვატია | 2:1 |
| გერმანია-უკრაინა | 3:1 |
| შვეიცარია-ესპანეთი | 1:1 |
| აზერბაიჯანი-ჩერნოგორია | 0:0 |
| კვიპროსი-ლუქსემბურგი | 2:1 |
| მალტა-ანდორა | 3:1 |
| ლატვია-ფარერები | 1:1 |
| სან მარინო-გიბრალტარი | 0:0 |

# ინგლისმა საქართველოს მოლში მოუგო



6 ერის ჩემპიონმა ინგლისმა „შემოდგომის ერთა თასის" პირველ მატჩში საქართველოს ნაკრებს „თვიქნემზე" უმასპინძლა და 40:0 იმარჯვა. „ბორჯღალოსნებს" ინგლისელთა წინააღმდეგ აქამდე მხოლოდ 2-ჯერ ეთამაშათ და ორივეჯერ მსოფლიო თასებზე (2003, 2011). პირველ ჯერზე ინგლისმა 84:6 მოიგო, მეორე შემთხვევაში – 41:10. ამჯერად „ვარდებისგან" ყველაზე ცოტა ქულა მივიღეთ, მაგრამ კლასით ბევრად ძლიერ გუნდთან თავად ვერც ერთი ავიღეთ.

შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ „ბორჯღალოსნებმა" ინგლისთან უფრო აგრესიულად ითამაშეს დაცვაში და კონტაქტის არეში, იყო საკუთარი ნახევრიდან ხელით შეტევის მცდელობები და მერაბ შარიქაძემ და კოკი თხილაიშვილმა რამდენიმეჯერ მანძილი მოიგეს, მაგრამ მასპინძლებმა ყველა ჯერზე მოახერხეს ხაზის დაწყობა.

ინგლისმა აქტიურად მიმართა ფეხით თამაშს. ამის ხარჯზე, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მეტოქე საგრძნობ უპირატესობას ფლობდა როგორც ბურთის კონტროლში, ასევე ტერიტორიულად. საქართველომ მე-15 წუთამდე შეძლო შეტევების მოგერიება, მაგრამ მერე მორკინალების რამდენიმე დარტყმის შემდეგ ჩარლი იუელსმა თავის სადებიუტო მატჩში ლელო გაიტანა.

მომდევნო 15 წუთის განმავლობაში საქართველოს ნაკრებმა შეძლო თავისი ლელოს დაცვა, მერე ინგლისმა 2-ჯერ ააგორა შედეგიანი მოლი და ჯეიმი ჯორჯმა 2 ლელო გაიტანა. ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა ხაზზე გაშალეს შეტევა და ელიოტ დეილიმ მე-4 ლელო გაიტანა. ოუენ ფარელიმ 3 გარდასახა და ტაიმი 26:0 დასრულდა.

მეორე ტაიმი საქართველომ უკეთესად დაიწყო, გარკვეული პერიოდულობით ბურთზეც მოახერხა კონტროლის დამყარება და 52-ე წუთზე მეტოქის 22-ში ჯარიმა გამოიმუშავა, მაგრამ 3 ქულას ლელოზე თამაში არჩია და უქულოდ დარჩა. ინგლისმა 58-ე წუთზე მორიგი მოლი დააყენა, რომელსაც თავიდან მედგრად დავუხვდით, მერე მასში ხაზის მორაგბეებიც ჩაერთნენ და ჯორჯმა თავისი მე-3 ლელო გაიტანა.

10 წუთში ინგლისელთა სწრაფი შეტევა დიდი ძალისხმევით ლელოს ხაზის სიახლოვეს მოვიგერიეთ, მაგრამ მსაჯმა მცველს ბურთზე ხელის გაშვება სთხოვა, დან რობსონმა დაბნეულობით ისარგებლა და ინგლისელთა მე-6 ლელო გაიტანა. ფარელიმ ორივე გარდასახა – 40:0.

დასკვნითმა წუთებმა „ბორჯღალოსნების" შეტევებში ჩაიარა, მაგრამ მასპინძელთა დაცვა შეუვალი იყო. გაწითლებულ დროზე მეტოქე შერკინებაში დავაჯარიმეთ და ლელოს გატანის შანსი გაჩნდა, მაგრამ ბურთი აუტში ვერ გადავიტანეთ და ანგარიში უცვლელი დარჩა, „ბორჯღალოსნები" „შემოდგომის ერთა თასის" მომდევნო მატჩს ჰლანეჰლიში 21 ნოემბერს უელსის წინააღმდეგ გამართავენ, რომელიც ირლანდიასთან 9:32 დამარცხდა.

# გაგრა და სამგურალი გორში ითამაშებენ



საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის 2020 წლის გათამაშების ფინალს გორი უმასპინძლებს. თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს ეროვნული ლიგა 2-ის წარმომადგენლები – წყალტუბოს სამგურალი და გაგრა დაუპირისპირდებიან.

მატჩი 25 ნოემბერს 17:00 საათზე დაიწყება.

თასის ფინალი ამ გუნდებისთვის უცხო არ არის. მეტიც, გაგრა ერთხელ უკვე ფლობდა ტიტულს – 2011 წელს დამატებით დროში ქუთაისის ტორპედო დაამარცხა. გაგრელებს მეორედაც შეეძლოთ მოგება, იმავე ტორპედოსთან 2018 წელს 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს, რიონისპირელებს გათანაბრების საშუალება მისცეს და პენალტებში დამარცხდნენ.

თასის ფინალი ტორპედოსთან პენალტებში წააგო სამგურალმაც. ეს 1999 წელს მოხდა. თუ ამჯერად სამგურალი მოიგებს, საქართველოს თასს ახალი გამარჯვებული ეყოლება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# ქალი მანქანით ალიგატორებით სავსე არხში გადავარდა და დაიღუპა



ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოს მცხოვრები ქალი მანქანით ალიგატორებით სავსე არხში ჩავარდა და დაიღუპა.

ჩიკაგოში მცხოვრები ექიმი ნიტა კუნუმპურამი, რომელიც წარმოშობით ინდოეთის ქალაქ მალაიალიდან იყო, მანქანით ფლორიდის შტატის ქალაქ ნეიპლსში მიდიოდა. ადგილობრივი დროით დაახლოებით დილის 6:30 საათზე ქალმა მანქანის მართვის უნარი დაკარგა, რის შედეგადაც მანქანა გადაბრუნდა და გადავარდა არხში, რომელიც ალიგატორებით იყო სავსე.

მომხდარს ამერიკელი წყვილი შეესწრო, რომელიც ქალის ავტომობილს უკან მიჰყვებოდა. თვითმხილველებმა მანქანა გააჩერეს და გონდაკარგული ქალის გადარჩენას შეეცადნენ. ამ დროს მათკენ ალიგატორები წამოვიდნენ და ისინი იძულებული გახდნენ, ქალის ამოყვანის მცდელობაზე უარი ეთქვათ და სასწრაფოდ დაეტოვებინათ არხი.

წყვილმა მომხდარის შესახებ პოლიციას აცნობა. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები მივიდნენ. იმ დროისთვის კუნუმპურამი უკვე გარდაცვლილი იყო. ალიგატორები მის მანქანას შემოეხვივნენ და ამან მყვინთავებსა და მაშველებს სამუშაო გაურთულა.

მოგვიანებით დაღუპული ქალის ცხედარი წყალში იპოვეს. პოლიცია ავარიის მიზეზის დადგენას ცდილობს.

# წყალში უიშვიათესი რვამეტრიანი არსებები გადაიღეს

ავსტრალიის სანაპიროსთან ვიდეოზე გადაიღეს წყლის სიღრმეების ბინადარი არსებები, რვა მეტრი სიგრძის კალმარები.



მკვლევრებმა ეს თავფეხიანი არსებები დიდ ავსტრალიურ ყურეში ჩაყვინთვის დროს შენიშნეს. 940-დან 3260 მეტრამდე სიღრმეში კადრში ხუთი სხვადასხვა არსება მოხვდა, რომელთა სხეულის სიგრძე მეტრ-ნახევარს, ხოლო საცეცების სიგრძე შვიდ მეტრს აღწევდა.

მანამდე ასეთი კალმარები ავსტრალიის სანაპიროსთან არასოდეს შეუნიშნავთ. პირველად ასეთი არსება 1988 წელს ბრაზილიის სანაპიროსთან შენიშნეს. მას შემდეგ ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ათჯერ დააფიქსირეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



## ვაჟა ბერიძიშვილის მონატრება

15 ნოემბერს შენი დაბადების დღეა! შვილო, მეხუთე წელია, ამ დღეს უშენოდ ვხვდებით. როგორი სიმწარეა, შვილო, დედისთვის. რა მძიმეა და ტკივილით სავსე უშენოდ ცხოვრება. ჩაქრა ის სხივი, რომელსაც შენი სახელი ერქვა. მეხის გავარდნას ჰგავდა შენი სიკვდილი ყველასთვის, შვილო. შვილმკვდარი დედისთვის ტკივილს სახელი არ აქვს.

ჩემი და შენი დის, ლიას, ლოცვამ და დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა სასუფევლისკენ!

*შენგან ტანჯული დედა, და, დეიდა და დეიდაშვილები*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. აბრეშუმის ჭია; 2. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 3. მდინარე ზუგდიდში; 5. ფასიანი ქაღალდი; 6. გაგრის ძველბერძნული სახელწოდება; 8. გერმანიის პარლამენტი; 10. ბურის ექიმი; 12. ორადგილიანი ველოსიპედი; 14. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 15. ნარკოტიკული ნივთიერება; 16. აფრიკაში ბინადარი ჟირაფისნაირი ცხოველი.

**თარაზულად:** 1. ქალაქი პაკისტანში; 4. ძალიან ლამაზი ბაღი; 7. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელი; 9. ჭარხლიდან მიღებული ტკბილი საკვები პროდუქტი; 11. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი მსახიობი იაპონურ თეატრში; 12. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 13. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 18. კუთხე საქართველოში; 19. მე-17 საუკუნის უკრაინელი მხედართმთავარი, ჰეტმანი; 20. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დესანტი; 2. ფხოვი; 3. რეზექცია; 4. ავოკადო; 5. ტექტონიკა; 9. აფონია; 12. გურზუფი; 14. დიბალა; 15. არგო; 17. რვალი; 18. აბიო.

**თარაზულად:** 6. მეტეხი; 7. ცერცვაძე; 8. ცაცხვი; 10. ქაირო; 11. ჰიდროფობია; 13. ადორაცია; 16. ტუნდრა; 19. ბრიუსელი; 20. ფანდანგო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვიში; 2. ვერდი; 3. მთიები; 5. პოსკო; 6. ჩუქურთმა; 8. ცისარტყელა; 10. ანორაკი; 12. რეზიუმე; 14. ბასტია; 15. საჰარა; 16. არაყი.

**თარაზულად:** 1. ვლტავა; 4. აპალაჩი; 7. პურადი; 9. ბოგოტა; 11. ქსენონი; 12. რექვიემი; 13. არმაზი; 17. აზალია; 18. მექა; 19. ამპლიტუდა; 20. რარიტეტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2951

ევრო — 3.8961

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3449

100 რუსული რუბლი — 4.2581

## ამინდის პროგნოზი 16 ნოემბრისათვის








## 17 ნოემბრიდან
## ჩემი პირველი ვეფხისტყაოსანი
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ლატარიის ბილეთების გამყიდველმა მამაკაცს გამილიონერება უწინასწარმეტყველა



ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ უესტლენდში ლატარიის ბილეთების გამყიდველმა მამაკაცს მრავალმილიონიანი მოგება უწინასწარმეტყველა და მართალი აღმოჩნდა.

42 წლის მიჩიგანელი, რომელიც ლატარიის გათამაშების გამარჯვებული გახდა, ამტკიცებს, რომ გამყიდველს შემთხვევით ლატარიის ბილეთი იატაკზე დაუვარდა, დაიხარა, აიღო, გამომიწოდა და მითხრა: „ეს მომგებიანი იქნება“.

სახლში მისულმა მამაკაცმა ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და აღმოაჩინა, რომ მას მართლაც მთავარი პრიზი ერგო.

– ბილეთს რომ დავხედე, ყბა ჩამომივარდა და მას შემდეგ, შეიძლება ითქვას, ყბაჩამოვარდნილი დავდივარ, – აღიარა ამერიკელმა.

მამაკაცის მოგებამ 5,5 მილიონი დოლარი შეადგინა. მას არ დაუზუსტებია, რაში აპირებს მოგებული თანხის დახარჯვას.

## ქალმა ბავშვს გამოდევნებულ დათვს დაუღრიალა



ამერიკის ალასკის შტატის ჰეინსის დასახლებულ პუნქტში დედამ დათვს, რომელიც მის შვილს გამოეკიდა, დაუღრიალა.

შენონ კეიტონმა შვილი ქუჩაში მდგომი მანქანის ჩასაკეტად გაუშვა. გარეთ გასულ ბიჭს იქ დათვი დახვდა და გამოეკიდა. ბავშვმა სახლში შევარდნა და კარის მიხურვა მოასწრო.

როდესაც მან მომხდარის თაობაზე დედას უამბო, ქალმა არ დაუჯერა და კარი გააღო. ამ დროს იქ მდგომმა მას თათი მოუქნია და სახლში შესვლა ცადა.

– მე მას პირდაპირ თვალებში ჩავხედე და მანიაკივით დავუღრიალე, – ამტკიცებს ქალი.

კეიტონმა მტაცებელს შეუტია, რათა ეიძულებინა, გაქცეულიყო, შემდეგ კარი მიხურა და ხელი თოფს სტაცა.

– ჩემი ძაღლი დათვს უტევდა, მაგრამ ის უკან არ იხევდა, – იხსენებს ქალი, – მაშინ მას, უბრალოდ, ოთხჯერ ვესროლე 12-კალიბრიანი საფანტი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 16 ნოემბრისათვის



**ვერძი** – კოლექტიური მუშაობა სასურველ შედეგს გამოიღებს. ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა დღეს აუცილებელია. **კურო** – გელით საინტერესო მოგზაურობა, ახალი ნაცნობობა. სასიამოვნო შეგრძნებებით დატვირთული დღეა. **ტყუპები** – მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. მოსახდენი მაინც მოსდება. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი პოტენციალი მზარდია. იყავით გულწრფელი და გახსნილი. **ლომი** – ჯანმრთელობის მდგომარეობა ყურადღებას მოითხოვს. საჭიროების შემთხვევაში ექიმთან ვიზიტს ნუ გადადებთ. **ქალწული** – დღეს საოცრად იოლად მიიღებთ იმას, რაც გსურთ. მოსალოდნელია ფინანსური კეთილდღეობა. **სასწორი** – ერთობლივი მუშაობა გაამართლებს. საოჯახო საქმეების მოსაწესრიგებლად იდეალური დღეა. **მორიელი** – პლანეტები გმფარველობენ. მშვიდად ხართ. ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას მეტი სიდინჯე და დაფიქრება გმართებთ. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ აქტიურად. დღევანდელი დღე უამრავი სასიამოვნო წუთით იქნება გაჯერებული. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი თანდათან ქვეითდება. ნებისმიერი თქვენი მოქმედება შესაძლოა თქვენ წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. წინდახედულობა დღის დევიზია. **მერწყული** – საკუთარ ინტერესებს ნუ უგულებელყოფთ. მოთმინებით აღიჭურვეთ და მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. **თევზები** – სახიფათო დღეა. ცრუ ინფორმაციას მიიღებთ. დაიმახსოვრეთ: ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ძვირფასო, სად წამიყვან ამ დღესასწაულებზე?
– დედაშენთან!
– და ახალ წელს?
– მოვალ და წამოგიყვან...

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:
– ქალო, ფული გვაქვს?
– არა.
– როგორ თუ არა? ჩემი ხელფასი გუშინ არ ჩაგაბარე...
– მე მაქვს ფული, ჩვენ – არა!

•••

მთელი ღამის გართობის შემდეგ, გამთენიისას სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლმა კარი გაუღო და ეუბნება:
– გამარჯობა, სუპერმენო!
ქმარი ხმის ამოუღებლად შევიდა ბინაში.
– ჭამა გინდა, სუპერმენო?
ქმარი ხმას არ იღებს.
– და სად დაეთრეოდი, სუპერმენო? – რა „სუპერმენი“ აგიტყდა, – ვეღარ მოითმინა ქმარმა.
– აბა, სუპერმენის გარდა, ვინ იცვამ ტრუსიკს შარვალზე?!

•••

ცოლი სახლში დაბრუნებულ ქმარს ეკითხება:
– როგორ შეძელი ასე დათრობა?!
– არ გეკამათები, ძნელი იყო! მაგრამ რაც შემეძლო, შევეცადე...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– სასწრაფოდ ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია მჭირდება.
– აი, უკვე დაგისხი, არაყი...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:
– არ შეგიძლია მთქნარება შეწყვიტო, როდესაც გელაპარაკები?
– კი არ ვამთქნარებ, უბრალოდ, რაღაცის თქმა მინდა, მაგრამ არ მაცდი.

•••

კარზე ზარია. ქალი აღებს და ხედავს, მის წინ მთვრალი მამაკაცი დგას. ქალი ეკითხება:
– რა გნებავთ?
– თქვენ გამოაქვეყნეთ განცხადება გაცნობაზე?
– დიახ, მაგრამ იქ ნათლად ეწერა, რომ გავიცნობ მამაკაცს მავნე ჩვევების გარეშე. და თქვენ რისი იმედი გაქვთ?
– იმის სათქმელად მოვედი, რომ ჩემი იმედი არ გქონდეთ!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მანიკა ასათიანს კორონავირუსი დაუდასტურდა



ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომელ მანიკა ასათიანს კორონავირუსი დაუდასტურდა.

ინფორმაცია ამის შესახებ გადაცემა „იმედის დილის“ წამყვანმა თავად გაავრცელა და აღნიშნა, რომ არ იცის, სად დაინფიცირდა. მანიკა მკურნალობის კურსს სახლში გადის.

მანიკა ასათიანისთვის კორონავირუსის დადასტურების გამო შაბათსა და კვირას „იმედის დილა“ ეთერში არ გავა. ასეთია გადაცემის ხელმძღვანელების გადაწყვეტილება. მათ მიაჩნიათ, რომ ასე გადაცემაზე მომუშავე სხვა თანამშრომლები კიდევ უფრო მეტად იქნებიან დაცული.

## თაკო გაჩეჩილაძე: „რატომ არ სჯერა ამ ხალხს ვირუსის არსებობის, ვერ ვხვდები“



მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე კორონავირუსით შეშინებულია, თუმცა, კიდევ უფრო გაკვირვებულია იმ ადამიანებით, რომლებიც სოციალურ ქსელში კორონასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ან იცინიან, ან იწყევლებიან:

– რატომ არ სჯერა ამ ხალხს ვირუსის არსებობის, ვერ ვხვდები! დღემდე იცინიან და თან იწყევლებიან კომენტარებში. მაინცდამაინც თქვენ უნდა დაგემართოთ, რომ დაიჯეროთ?! თუ ეს ერთგვარი შიშია და ამ სიცილ-ხარხარით თავს იწყნარებენ?!! ან ტვინი არ აქვთ.

ზოგადად, ასეთ ადამიანებს უფრო ემართებათ ხოლმე სპეციალურად იმისთვის, რომ დაიჯერონ. ამიტომ ფრთხილად!

## უშგულელი მხატვარი ფრიდონ ნიჟარაძე გარდაიცვალა



უშგულელი გენიოსი მხატვარი ფრიდონ ნიჟარაძე, რომელსაც ქართველ სალვადორ დალის უწოდებდნენ, 76 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ინფორმაცია მისმა ნათესავმა ლელა ნიჟარაძემ გაავრცელა:

– სამწუხარო ინფორმაცია: გარდაიცვალა უშგულელი გენიოსი მხატვარი, ჩემი ახლო ნათესავი ფრიდონ (ფიდო) ნიჟარაძე.

ფრიდონ ნიჟარაძის ნამუშევრები თბილისში პირველად გასულ წელს გამოიფინა, შემდეგ კი ექსპოზიცია სანკტ-პეტერბურგშიც დაიგეგმა. მხატვრის თითოეული ნამუშევარი ხელოვნების შედევრად იყო აღიარებული. სიუჟეტებს მასზე უცხოელი ჟურნალისტებიც ამზადებდნენ და დარწმუნებული იყვნენ, რომ მხატვრის თითოეული ნამუშევარი სოლიდურ ფასად გაიყიდებოდა.

## სოფო ნიჟარაძე: „ჩემი სახელით ვიღაც იტყუება“



მომღერალმა სოფო ნიჟარაძემ ინტერნეტით გაავრცელა ინფორმაცია, რომ მისი სახელით სოციალურ ქსელში ვიღა იტყუება და ხალხი შეცდომაში შეჰყავს:

– ჩემი სახელით ვიღაც იტყუება, არანაირ ლაივში არ ვარ და მხოლოდ ერთი ოფიციალური, ვერიფიცირებული გვერდი მაქვს.

არანაირი გათამაშება და ფულადი პრემიები. არ დარეგისტრირდეთ საიტებზე, ტყუილია!

რეპორტი, თუ მსგავსი გვერდი შეგხვდებათ!

## გარეჯის უდაბნოში საბერეების კლდეში ნაკვეთი მონასტრის პროაქტიური კონსერვაციის პროცესი დაიწყო



იტალიელი ექსპერტების აქტიური ჩართულობითა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, მიუხედავად კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და სირთულეებისა, გარეჯის უდაბნოში, საბერეების კლდეში ნაკვეთი მონასტრის პროაქტიური კონსერვაციის პროცესი დაიწყო.

ნოემბერში დასრულდა კომპლექსის კვლევა-მონიტორინგის ბაზისა და ძეგლზე ონლაინდაკვირვების სენსორების ინსტალაცია, მოეწყო დროებითი ძალოვანი დგარები ძეგლის უსაფრთხოების გასაძლიერებლად. ინფორმაცია ლოკალური მეტეო და კლიმატური პირობების, ძეგლზე არსებულ ძირითად ნაპრალებზე მიმდინარე მოძრაობებზე, ასევე მიმდინარე ფოტომონიტორინგის მასალა ონლაინრეჟიმში გადმოიცემა.

სამუშაოებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს კვლევის ცენტრი ახორციელებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 9. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 3. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 4. უდაბნოში მზარდი მცენარე; 5. ქართველი პიანისტი ქალი; 9. ქართული რადიო; 12. მღვდლის ცოლი; 14. ქულა ძიუდოში; 15. ჭადრაკის ფიგურა; 17. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 18. ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა ბირჟაზე.

**თარაზულად:** 6. შტატი აშშ-ში; 7. მწვანეთა და ეკოლოგთა საერთაშორისო ორგანიზაცია; 8. სპეციალური მიკროკლიმატის მქონე კამერა, რომელშიც ათავსებენ დღენაკლულ ჩვილ ბავშვს სამკურნალოდ; 10. საპატრიარქოსთვის მირთმეული საქორწინო ნიშანი; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 13. სასჯელი ქურდობისათვის ძველად საქართველოში; 16. წითელი ფერის სადესერტო ფრანგული ღვინო; 19. ტრაგიკულად დაღუპული ცნობილი ქართველი გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

